გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 98
(11 452)

12 – 14 დეკემბერი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# წუხელ, რომში გამართულ გრანდიოზულ გალა-წარმოდგენაზე გამოვლინდა რამდენიმე ნომინაციაში მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს რჩეულნი, როგორც ინტერნეტის მეშვეობით გულშემატკივართა, ისე ფიფას ვერსიის სპეციალისტთა გამოკითხვით. აი, ისინიც:

**საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფას გამოკითხვით) — პელე, ქალთა შორის — მიშელ აკერსი (აშშ).**







**საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი (ინტერნეტის გამოკითხვით) — დიეგო მარადონა.**

*საუკეთესო კლუბი (ინტერნეტით გამოკითხვის შედეგებით) — მადრიდის „რეალი“.*



**2000 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფას გამოკითხვით) ზინედინ ზიდანი.**

„სამართლიანი თამაშის“ პრიზი გადაეცა ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებს, რომელიც მონაწილეობდა სიდნეის ოლიმპიურ ტურნირში.

*პროგრესული ნაკრების ნომინაციაში გაიმარჯვეს ნიგერიელებმა.*

გამოვლინდა აგრეთვე სხვა ნომინაციებში გამარჯვებულები.

## სეოკ-ის სესიის შესახებ

13 დეკემბერს, 12 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხ-პალასში“ (თელავის ქ.№20) ჩატარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის აღმასკომი

### ვაზუსტებთ!

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგატთა სიაში დაშვებულია კორექტურა: №13 უნდა იკითხებოდეს — ***ბალავაძე თამარი,*** №103 — ***მუსელიანი ვახტანგი,*** №125 — ***სალარაძე გურამი*** (მსოფლიო ორგზის ჩემპიონი თავ. ჭიდაობაში), №142 — ***მოშიტაშვილი ომზარი.***



## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**გასულ შაბათ-კვირას მორიგი მატჩები გაიმართა**

***9 დეკემბერი.*** ვითა — სსუ 75:57, ბასკო — სტუ 98:84, თსუ — შევარდენი 80:68, მაკაბი — დინამო 91:81.

***10 დეკემბერი.*** ვითა — დინამო 107:94, ბასკო — მაკაბი 91:80. აზოტი — შევარდენი 91:61.

**გუშინ.** მეტად დაძაბულად წარიმართა „ბასკოსა“ და „დინამოს“ შეხვედრა. თავიდანვე „დინამო“ დაწინაურდა. მეხუთე წუთისთვის იგი 16:4-ს იგებდა, ხოლო პირველი პერიოდი მოიგო ანგარიშით 27:25. ასევე იყო მეორე და მესამე ათწუთიან მონაკვეთებში — 49:48, 70:68. მხოლოდ მატჩის ბოლო პერიოდში შეძლეს უფრო გამოცდილმა ბათუმელმა კალათბურთელებმა დაწინაურება. „ბასკომ“ ეს შეხვედრა მოიგო ანგარიშით 102:90.

## სფფ-ს აღმასკომის მეათე სხდომა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი, რომელიც სფფ-ს მთავარი აღმასრულებელი ორგანოა, ა.წ. 22 დეკემბერს მეათედ შეიკრიბება. მოგეხსენებათ, აღმასკომის სხდომებზე განიხილება ფეხბურთის ფედერაციისა და ქართული ფეხბურთის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. დეკემბრის ბოლოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში სფფ-ს აღმასკომი შემდეგ დღის წესრიგს განიხილავს:
1. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული (U-21) ნაკრებების მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადების შესახებ. მომხსენებლები: დ. ყიფიანი, რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა. 2. საქართველოს ახალგაზრდული (18 წლამდე და 16 წლამდე) ნაკრებების შესარჩევ ტურნირებზე გამოსვლის შესახებ. მომხსენებელი: ა. ჩივაძე. 3. სფფ-ს ფინანსური საქმიანობის (1999-2000 წლების) ანალიზი. მომხსენებელი ვ. ასათიანი. 4. ქართული კლუბების ლიცენზირება უეფას მოთხოვნების მიხედვით. მომხსენებელი გ. ისიანი. 5. სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. მომხსენებელი მ. ჟორდანია. 6. სფფ-ს აღმასკომის 2001 წლის მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი მ. კვარაცხელია. 7. სხვადასხვა.

**26 დეკემბერს, 12 საათზე, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სააკბო დარბაზში გაიმართება ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მორიგი ყრილობა. დელეგატების რეგისტრაცია — 11 საათიდან.**

## ძმები არველაძეები „დინამოს“ გადაფორმებას შეუდგნენ

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ახლანდელმა მთავარმა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ 10 დეკემბერი დათქვა ბოლო ვადად, როცა კლუბის ყოფილ მეპატრონეებს მდგომარეობის გამოსწორებისკენ მოუწოდა.

გუშინ რევაზ არველაძემ განაცხადა, რომ ვადა ამოიწურა და კლუბში არაფერი შეცვლილა სასიკეთოდ. ამიტომ ოფიციალურად იწყება ახალ მეპატრონეებზე მისი ახალ შპს-ედ გადაფორმების პროცესი. საქმეში ჩაერთნენ ცნობილი იურისტები და საბოლოოდ გაირკვევა თუ რას მიიღებს კლუბი მემკვიდრეობით და ვინ იქნება ახალი მფლობელი. ძირითადი მეპატრონეები კი ცნობილია — ძმები არველაძეები.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

• „ლივერპულის“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ერიკ მეიერმა ხელი მოაწერა კონტრაქტს გერმანულ კლუბ „ჰამბურგთან“.



• **ერთ-ერთმა** გერმანელმა პერსპექტიულმა ფეხბურთელმა, 21 წლის კრისტიან ტიმმა 2004 წლამდე გააფორმა კონტრაქტი „კიოლნთან“.






• **რომის** პაპი ფეხბურთში ძალადობის წინააღმდეგია. ეს მან განაცხადა ფიფას პრეზიდენტთან, იოზეპ ბლატერთან ვატიკანში შეხვედრისას.



• „ალანიის“ მცველმა და 21-წლიანთა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მამუკა წერეთელმა დონეცკის „შახტიორში“ მიიღო მიწვევა.



*საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალების განმეორებით მატჩები*

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

3

რაგბი | საქართველოს ჩემპიონატი და თასის გათამაშება ჭაბუკთა შორის

# ბიჭები და მერე რა ბიჭები...

სპორტული ნიჭის ადრეულ ასაკში გამოვლინება, ჩვენში, მართალია, საგრძნობლად შეფერხდა, მაგრამ ბედნიერი გამონაკლისი მაინც გვხვდება. უპირველესად ეს ჭაბუკ მორაგბეებზე ითქმის. ფეხბურთისა არ იყოს, მოზარდთა რაგბში ასეთი ბუმი არასდროს ყოფილა, რაც უდავოდ მისასალმებელია და უფროსი თაობის მორაგბეთა, ამჟამად უკვე მწვრთნელთა დამსახურებაა. ტრადიციები, როგორც იტყვიან, საიმედო ხელშია. ბავშვთა სარაგბო გუნდების გეოგრაფია, ადრინდელთან შედარებით, საგრძნობლად გაფართოვდა, ახლა რაგბს ჩვენი ქვეყნის ისეთ ქალაქებში და რაიონებშიც თამაშობენ, სადაც ტრადიცია არ გააჩნდათ. ბავშვთა რაგბმა შეაბიჯა უმაღლეს სასწავლებლებშიც. აქ კი სანიმუშო მაგალითად გამოდგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარაგბო კლუბი, რომელიც თვით უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის, გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის, საქრკინიგზის ექსპედიციის უფროსის გია მიქელაძის, „თბილკომბანკის" პრეზიდენტის ჯონი მიხაილოვის მიერაა დაფუძნებული. უნივერსიტეტის მოზარდთა სარაგბო გუნდს წარსულში სახელგანთქმული მორაგბე და შემდგომში ასევე შესანიშნავი მწვრთნელი დათო კილასონია უდგას სათავეში (შეგახსენებთ, რომ სენაკელი ასობით მოზარდი პირველად სწორედ დათო კილასონიამ აზიარა რაგბის საიდუმლოებას ამ 10 წლის წინათ), უნივერსიტეტელთა მთავარი მწვრთნელია გურამ მოდებაძე, უფროსი მწვრთნელი — გია ჭუმბურიძე, მწვრთნელები — თენგიზ ჩორგოლეიშვილი, ლევან თაფლაძე და მალხაზ კილასონია. კლუბის პრეზიდენტია ვასილ ჩიგოგიძე, ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ლოსაბერიძე. თუ რატომ მოვიხსენიეთ ეს ადამიანები განსაკუთრებულად, ქვემოთ მოგახსენებთ.

სულ ახლახან დასრულდა მოზარდ მორაგბეთა 2000 წლის საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშება. აქვე ვიტყვით, რომ ვინც მოზარდთა ასპარეზობებს თვალს ადევნებდა, არასდროს დაავიწყდება ჭაბუკების შემართება, რაინდული პაექრობები ქართველ მორაგბეთა ყველა თაობის საუკეთესო თვისებების გამოვლინებით, ამ ყმაწვილებმა სპეციალისტებს და გულშემატკივრებს განუმტკიცეს რწმენა, რომ ქართულ რაგბს ღირსეული ცვლა ეზრდება. ეს განსაკუთრებით ითქმის 1985-86 წლებში დაბადებულ მოზარდ მორაგბეებზე თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ზესტაფონიდან, ჩოხატაურიდან, სენაკიდან.

დასავლეთ ზონაში ჩემპიონატში ლიდერებად ქუთაისელ და ზესტაფონელ მორაგბეებს მიიჩნევდნენ, მაგრამ დიდი სპორტული ქინი გამოავლინეს ფოთელებმა, რომელთა გუნდი დიდი ხანი არაა რაც შეიქმნა და ქუთაისელებთან ერთად ფინალში გაალწია. აღმოსავლეთ ზონიდან პირველობა უნივერსიტეტელებმა და თბილისის „მგლებმა" მოიპოვეს, რომლებსაც ფინალურ ეტაპზე აჯობეს 13:10, შემდეგ თბილისელებმა ჯერ მინიმალური ანგარიშით 11:10 გაიმარჯვეს ფოთელებთან შეხვედრაში (ანგარიში თავად მეტყველებს ჩემპიონობისთვის ბრძოლის დაძაბულობაზე), შემდეგ ფოთელებს შედარებით იოლად სძლიეს 20:5 და საქართველოს ჩემპიონობა მეორედ ხვდათ წილად. აქვე ვიტყვით, რომ უნივერსიტეტის ჭაბუკებმა წლეულს თბილისის პირველობაშიც გაიმარჯვეს, თანაც, ისე, რომ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

საქართველოს თასის გათამაშებაშიც უკვე ერთმანეთისთვის კარგად ნაცნობი გუნდები იბრძოდნენ წარმატებისთვის. უნივერსიტეტელებმა აქაც მიზნისკენ სწრაფვის შესანიშნავი თვისებები გამოავლინეს და დაუმარცხებლად ჩაატარეს ყველა შეხვედრა — სძლიეს თბილისის „მგლებს", ზესტაფონის „მარგვეთს", ფინალში კი აქაც ქუთაისის „აიას" პირისპირ დადგნენ. კვლავ წარმატება და — თასი!

აი, რატომ შევჩერდით ასე დაწვრილებით უნივერსიტეტელ ჭაბუკთა გუნდზე და ამ გუნდის სულისჩამდგმელებზე. ახლა კი თავად გუნდის წევრებს გავეცნოთ. ესენი არიან: ***დუდა აფხაზავა, ლაშა ბაირამაშვილი, ალეკო ბერიძე, გელა გაგნიძე, გიორგი გიგაური, ლევან ენუქიძე, ლევან ერგემლიძე, მამული ერქომაიშვილი, ლადო და ლუკა კილასონიები, დათო კოპაძე, დაჩი მინდაძე, დათო მოსიშვილი, ვასიკო ნუგზარიშვილი, დუდუ ქელბაქიანი, სანდრო ციგროშვილი, ვახტანგ ცხენოსანიძე, ბორის ძიმსიშვილი, ირაკლი ჩხიკვიშვილი, ლევან წერეთელი.*** 1985-86 წლებში დაბადებულთა პირველი მწვრთნელია ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტი ***ბადრი ბოხუა.***

*სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჭაბუკ მორაგბეთა გუნდი.*

**ირაკლი ხანდამიშვილი**



## 50 წლის წინათ...

***თელავი.*** მოჭადრე ქალთა რაიონის პირველობაში პირველობა მოიპოვა მე-3 სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ზ. თხლაშაძემ.

***ფოთი.*** აქ ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური პირველობა ცურვასა და წყალში ხტომაში. მონაწილეობდნენ ბათუმის, ფოთისა და სოხუმის სპორტსმენები. გაიმარჯვეს ბათუმელებმა. მეორე ფოთელები იყვნენ.

***ქუთაისი.*** ლ.პ. ბერიას სახელობის ქალაქის სტადიონზე ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება კოლმეურნე მძლეოსანთა შორის. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. მახარაძის რაიონი, 2. ქუთაისის რაიონი, 3. აჭარა.

***სამტრედია.*** რაიონის პირველობა ჭადრაკში მოიგო ვაეთა საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ რ. თავართქილაძემ.

***თბილისი.*** ძალოსნობაში საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს მ. ქლენტმა და შ. წივწივაძემ.

***გორი.*** პედაგოგიური ინსტიტუტების საქართველოს სპარტაკიადაში საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მეორე იყო ქუთაისის, მესამე — ბათუმის პედინსტიტუტების წარმომადგენლები.

გამოიწერეთ
2001 წლისათვის!

ბერძნულ-რომაული ჭიდაობაბა | სტუდენტთა ღია პირველობა

# ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია სპორტულ კალენდარში ვაკუუმს ავსებს

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში წლეულს ბევრი შეჯიბრება გაიმართა. ამჯერად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩატარდა სასწავლებლის ღია პირველობა, რომელსაც ფალავანთა კლუბმა უმასპინძლა. გულშემატკივრებით გადაჭედილ დარბაზში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 12 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასპარეზობის მსაჯთა კოლეგიას მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ყაზარაშვილი თავკაცობდა. გამარჯვებულებს და პრიზიორებს კი სხვებთან ერთად ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ელდარ კურტანიძეც აჯილდოებდა. ასეთი შეჯიბრებების ჩატარება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილის ხელშეწყობით მით უფრო მისასალმებელია, რომ უსახსრობის გამო, სტუდენტური სპორტის ეროვნული ფედერაცია შეჯიბრებებს ვერ ატარებს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს

***50 კგ:*** 1. ილია გულბათაშვილი (ფიზ. აღზრდის და სპორტის კოლეჯი), 2. ვახტანგ კახელიშვილი (სპორტის აკადემია), 3. გურამ ჩიტაშვილი (ფიზ. აღზრდის და სპორტის კოლეჯი);
***54 კგ:*** 1. ალექსანდრე კუნჭულია (ბათუმის აგრარული უნივერსიტეტი), 2. მურად გობაძე (ბათუმის იურიდიული კოლეჯი), 3. აკაკი კუნჭულია (ბათუმის აგრარული უნივერსიტეტი);
***58 კგ:*** 1. მიხეილ ზავრაშვილი (თბილისის ბიზნესის ინსტიტუტი), 2. გიორგი ტაბატაძე (თსუ.), 3. პაატა ბიწაძე (თსუ.);
***63 კგ:*** 1. კახაბერ ცირამუა (სპორტის აკადემია), 2. ლევან ზურაბიანი (ოზურგეთი), 3. ლევან ოდიშარია (სპორტის აკადემია)
***69 კგ:*** 1. გურამ ცალუღელაშვილი (მარტყოფი) 2. ელიზბარ მაჭუტაძე (ბათუმის აგრარული უნივერსიტეტი) 3. მამუკა ხემშიაშვილი (ბათუმის ლიცეუმი).
***74 კგ:*** 1. დიმიტრი დოხტურიშვილი (სპორტის აკადემია), 2. მიხეილ ცეცხლაძე (ოზურგეთი), 3. ბიძინა გუნდიშვილი (თსუ).
***85 კგ:*** 1. ზვიად ქარდავა (სპორტის აკადემია), 2. ლევან მირაქიშვილი (ტოპოგრაფიული ტექნიკუმი), 3. არჩილ წიკლაური (სპორტის აკადემია).
***97 კგ:*** 1. ზურაბ წიქარიძე (ტოპოგრაფიული ტექნიკუმი), 2. რამაზ ნოზაძე (სპორტის აკადემია), 3. გიორგი ჯობავა (სპორტის აკადემია). 130 კგ: 1. გიორგი წურწუმია (სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი), 2. გიორგი მუმლაძე (ფიზ. აღზრდისა და სპორტის კოლეჯი), 3. მიხეილ ახვლედიანი (თსუ.)

**ირაკლი დოლაბერიძე,**
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.



# გივი ყვარელაშვილმა საქართველოს ფალავნები ერთ ოჯახში გააერთიანა

ოფიციალურად, იმ ახალ სპორტულ კერას, რომელიც გასულ კვირას შეიქმნა თბილისში, ქართველ ფალავანთა კლუბი „რაინდი" ჰქვია. ფაქტობრივად, ეს არის ტაძარი ფალავანთათვის და, ცხადია, არა მხოლოდ მათთვის. დიახ, ტაძარი, რადგან მისი კედლები არა მხოლოდ საქართველოს სახელმოხვეჭილ ფალავანთა ფოტოსურათებითაა დამშვენებული, იქვეა გამოყოფილი რელიგიური კუთხე მაცხოვრისა და წმინდანების ხატებით, ასევე ცალკე ადგილი აქვს მიჩენილი აწ გარდაცვლილ ფალავნებს. „ასეთი კლუბის შექმნა 15 წლის წინათ ჩავიფიქრე და რუდუნებით ვაგროვებდი ექსპონატებს, გამუდმებით ვფიქრობდი თუ როგორი უნდა ყოფილიყო ინტერიერი, როგორ განლაგებულიყო ფოტოსურათები, რა დატვირთვა მიმეცა ამ მყუდრო გარემოსთვის" — ამბობს კლუბის გახსნის ინიციატორი და ხორცისშემსხმელი, წარსულში ცნობილი ფალავანი, პოლიციის გენერალი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გივი ყვარელაშვილი. მუდამ სიახლის მაძიებელმა ამ უკეთილშობილესმა კაცმა, საბოლოოდ მართლაც ჩინებული საჩუქარი უძღვნა არა მხოლოდ მოჭიდავეთა სამყაროს, არამედ მთელ ჩვენ საზოგადოებრიობას.

მთავარ მიზანზეც აქვე ვიტყვით: კლუბმა უნდა გააერთიანოს და ერთ ოჯახად შეკრას ჭიდაობის ოთხივე სახეობის სამყარო, რომელთაც ამიერიდან თავისი ნავსაყუდელი ექნებათ და როგორც აქ, ამ ორსართულიან დარბაზში არიან ერთად თავმოყრილი ფოტოსურათებში, ასევე ერთად იქნებიან ცხოვრებაში, ამ ჭერქვეშ კი მათი საერთო ოჯახი იქნება. მათ აქ ნებისმიერ დროს შეუძლიათ შემოკრება სამსჯელოდ და ურთიერთმონატრების სურვილის ასასრულებლად. უფლება აქვთ მიიწვიონ სტუმრებიც.

„კლუბის კარი მუდამ ღია იქნება, ყველას შეუძლია გვეწვიოს, ჩვენებური იქნება თუ უცხოელი. ამ კერას აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ვანიჭებთ. შეჯიბრებებზე გამგზავრების წინ აქ ფიცს დადებენ ფალავნები და აქვე მოხდება გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან ღირსეული შეხვედრა. უბნის ახალგაზრდებისთვისაც კარი მუდამ ღია იქნება, ოღონდ ეგაა, აქ სიგარეტს ვერავინ მოწევს, მათ უკვე იციან, რომ ეს წმინდა ადგილია" — აგრძელებს საუბარს გივი ყვარელაშვილი.

იმდენ ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს და პრიზიორს იმ დღეს კლუბის გახსნა-კურთხევა-პრეზენტაციაზე, რომ შეიკრიბნენ, მსოფლიოს უამრავზე უამრავი ქვეყანა ინატრებდა. ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა ყველამ ერთად მოიყარა თავი, როცა ამდენი ლეგენდა მხოლოდ ფოტოსურათებიდან კი არ იმზირებოდნენ, თვალებში შესციცინებდნენ ერთმანეთს, ეს იყო ამაღელვებელი მომენტი, როცა წარსულმა შემოაბიჯა აწმყოში და თვით ლეგენდების შემოქმედთა თვალწინ გადავიდა მარადისობაში.

მადლობა გივი ყვარელაშვილს ამ უბრწყინვალესი კერისა და არა მხოლოდ იმ დღევანდელი განწყობის შექმნისთვის, მადლობა ყველას, ვინც მას მხარში დაუდგა.

**თ. თომაშვილი**

*კლუბის კურთხევა*



*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

## წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება მიანიჭა:

***ვიტალი ბენდელიანს*** — სოხუმის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, აფხაზეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს;

***ვალენტინ ნედაშკოვსკის*** — სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის უფროს მასწავლებელს, საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელს;

***ლამარა ტულუშს*** — თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს;

***გელა ჯანელიძეს*** — აჭარის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,

***გიორგი ელიოზიშვილს*** — თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონული სახლის ჭადრაკის წრის მასწავლებელი.

## ამანათრბენი გაზეთის პრიზზე

ბათუმში გაზეთ „აჭარის" პრიზზე გამართულ მძლეოსნურ ამანათრბენში ათი გუნდის 100-ზე მეტი მორბენალი მონაწილეობდა. ტრასა 10 ეტაპს მოიცავდა. ვაჟთა შორის გამარჯვება წილად ხვდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს, რომელსაც მთავარი პრიზი გადაეცა (რექტორი, პროფესორი ნუკრი ვერძაძე, ფიზაღზრდის კათედრის გამგე ვარდო ბერიძე), მეორე იყო ქობულეთის ნაკრები (მწვრთნელი ლიუბოვ აბიკეევა), მესამე — საქართველოს შსს აკადემიის ბათუმის ფილიალის წარმომადგენლები (რექტორი, ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ ხუნდაძე, სამხედრო მომზადებისა და ფიზაღზრდის ციკლის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი გურამ წითელაძე). ქალთა შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ბათუმის მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლა, 2. სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3. სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯი.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის თანამშრომელს რევაზ შენგელიას მამის გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა: შაბათს, 16 დეკემბერს, ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ფოლაში.

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## „მერანი“ მაჟორულ ნოტაზე

**თბილისი. „სინათლის“ სტადიონი.**
**მერანი-91 (თბილისი) – დილა (გორი) 6-3 (პირველი მატჩი 2-1).**
**მერანი:** ნაჭყეპია, ბოლქვაძე, გუჯაბიძე (ჩანადირი, 46), კოშკაძე, ბაჯელიძე, გ. კვეტენაძე (სილაგავა, 46), როსტიაშვილი, კაკუბავა (მუხინი, 46), ჭინჭარაული, მინაშვილი, დ. გოდერძიშვილი.
**დილა:** თ. ილურიძე, გ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გოგინაშვილი, ხოხობაშვილი, ხაჩირაშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი, ბურნაძე.
**გოლები:** 1-0 ბაჯელიძე (5), 2-0 ბოლქვაძე (20), 3-0 კაკუბავა (32), 4-0 როსტიაშვილი (36), 5-0 გოდერძიშვილი (47), 5-1 ხორგუაშვილი (52), 5-2 ბურნაძე (55), 6-2 სილაგავა (70), 6-3 ეჯოშვილი (90).
**მსაჯი:** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

„მერანმა“ განმეორებით შეხვედრაშიც იოლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა. პირველ მატჩში გატანილ ორ გოლს შინ კიდევ ექვსი მიაყოლა და ნახევარფინალშიც გავიდა. მასპინძლებმა თავიდანვე მიაჯაჭვეს სტუმრები თავიანთ საჯარიმოს და ორმატჩიან სერიაში გამარჯვებულის ვინაობა პირველივე ტაიმში გაარკვიეს.

გოლების სეტყვას გორელთა კარში ბაჯელიძემ დაუდო სათავე. თბილისელთა ექვსი გოლიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი შეცვლაზე შემოსული თექვსმეტი წლის ყმაწვილის გიორგი სილაგავას გოლია. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ეფექტური ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. სილაგავას სულ რამდენიმე მატჩი აქვს „მერანის“ შემადგენლობაში ჩატარებული, მაგრამ მისი თამაშის შემხედვარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი საიმედო ცვლაა. „მერანმა“ მაჟორულ ნოტაზე დაასრულა საშემოდგომო სეზონი. ჩემპიონატში საუკეთესო ექვსეულშიც შეაღწია და, აგერ, თასის ნახევარფინალსაც ეწია. ყოველივე გუნდის პოტენციაზე მიუთითებს და, იმედია, საშობაო არდადეგებსაც ნაყოფიერად გამოიყენებს. გორელებზე კი რა ვთქვათ, ოთხი გოლის გატანის მიუხედავად, სათასო მატჩებში პირწმინდად დამარცხდა და გზა უფრო ღირსეულს დაუთმო.

**საბა ლომინაძე**

## სწორედ მოგება რომ არა...

**თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**
**„ლოკომოტივი“ (თბილისი) – სამგურალი (წყალტუბო) 0-1 (პირველი მატჩი – 2-1)**
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი (აბრამიძე, 46), ლევან სილაგაძე, თოდუა, ჭიჭველიშვილი, გ. შენგელია (ხუროძე, 46), კვარაცხელია, რუსია (გაგუა, 46), გოგიჩაიშვილი, გონჩაროვი, პარამონოვი.
**სამგურალი:** ბოდოკია, დ. ჭელიძე, თირქია, ჯინჭარაძე, ღონღაძე, ბაბუნაშვილი, ფხაკაძე, კიკვიძე, დარსაძე (გოლეთიანი, 86), ქუთათელაძე, ლ. ქობულაძე.
**გოლი:** დ. ჭელიძე (90).
**მსაჯი:** ავთანდილ ორდინიძე (ონი).



წყალტუბოელები კახის (წინა პლანზე) მჭიდროდ მერვეობდნენ

წლის ბოლო მატჩი რკინიგზელებმა აშკარად „ჩააგდეს“ და რომ არა წყალტუბოში მოპოვებული გამარჯვება, თასის ნახევარფინალში „სამგურალი“ გავიდოდა. შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე **რევაზ ძოძუაშვილმა,** „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა, ასე ახსნა თავისი შეგირდების უნიათო თამაში: „ეჩიჩინე რამდენიც გინდა, ფეხბურთელები მატჩისათვის ფსიქოლოგიურად ვერ განეწყნენ. დღეს მათ ყველას უჩვენეს, როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი“. მართლაც, რკინიგზელები მინდორზე „გასასეირნებლად“ გამოვიდნენ. „სამგურალი“ კი, პირიქით, საბრძოლველად განეწყო და მთელი შეხვედრა უპირატესობასაც ფლობდა. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყოველივე, სტუმრებს შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ.

**იასონ ბზიკაძე,** „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელი: „ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, ყველაფერი ვიღონეთ, რათა გუნდი სერიოზულად მოგვემზადებინა ამ სათასო შეხვედრისათვის. განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებდით ფორვარდ ქუთათელაძეზე (ჩემპიონატში მან უკვე 13 გოლი გაიტანა), მაგრამ მას თანაგუნდელების მხარდაჭერა აკლდა და ეს არცაა გასაკვირი, ჩვენი კოლექტივი ხომ ძალიან ახალგაზრდულია, ძირითადში, 16-17 წლის ჭაბუკებით არის დაკომპლექტებული.“

ასეა თუ ისე, „ლოკომოტივმა“ ძალების მინიმალური დახარჯვით მაინც მიაღწია ნახევარფინალს, სადაც საქმისადმი ასეთ ზერელე დამოკიდებულებას არავინ აპატიებს.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

საქართველოს თასი



## ტექნიკური შედეგები

**ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ) 0-0**
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ჭანკოტაძე, საჯაია, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (ინწკირველი 74), დიდმელაშვილი, ვ. გოჩაშვილი, დ. დოლიძე (სულთანიშვილი 59), ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე (თაყაძე 88), მელქაძე.
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი (კანდელაკი 52), სიჭინავა, ჯინჭარაძე, ზამთარაძე, ბურდული (სახვაძე 46), მაზიაშვილი, (დათვაძე 78), გოგოლაძე, მიქაძე.
***გააფრთხილეს:*** გიორგი ქორიძე (45), საჯაია (83), მიქაძე (20), ჯინჭარაძე (74), სახვაძე (83), გოგოლაძე (83).
***მსაჯი:*** ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი)

**ტორპედო – კოლხეთი 1913 1-0**
**ტორპედო:** ზოიძე, შეყრილაძე, ახვლედიანი (თავბერიძე 88), ხვადაგიანი, ზ. არჩვაძე, გაბიდაური (მახვილაძე 77), კ. კვეტენაძე, შალამბერიძე, ასათიანი, ბობოხიძე (იმედაძე 57), დ. ჯანაშია.
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, ჭანტურიძე, ე. გვასალია (შავგულიძე 30), ფანჩულიძე, გოგიაშვილი (ხუჭუა 70), კრასოვსკი, მაღლაკელიძე, ღალანიძე.
***გოლი:*** იმედაძე (81)
***მსაჯი:*** დავით სანაია (სოხუმი)

**ნახევარფინალში ითამაშებენ:**

**ვიტ ჯორჯია (თბილისი), მერანი-91 (თბილისი), ტორპედო (ქუთაისი), ლოკომოტივი (თბილისი)**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებს დედის გარდაცვალების გამო.

## თუ ოცნებაა, ოცნება იყოს!

მოსკოვში დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ფედერაციების პრეს-ატაშეთა სემინარის ძირითადი საკითხები შემდეგნაირად შეიძლება დავყოთ: 1. ნაკრები გუნდისა და კლუბის პრეს-ატაშეს ფუნქცია, ადგილი და როლი;

2. პრეს-ატაშეთა ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან;

3. უეფას მოთხოვნა და რეკომენდაციები პრეს-ატაშეთათვის.

სემინარებს ხელმძღვანელობდა უეფას მედია-დირექტორი ფრიც ალსტრომი, ლექციები წაიკითხეს აგრეთვე შვედეთის საფეხბურთო კავშირის პრეს-ატაშემ გორან ჰავიკმა და უეფას მედია-ოფიცერმა, რუსმა სერგეი ბორისოვმა.

სემინარის დასაწყისში ფრიც ალსტრომმა მსოფლიოში სახელგანთქმული მწვრთნელის, „გენერლად“ წოდებული რინუს მიხელსის სიტყვები მოიყვანა: „ჩვენ ჰოლანდიელები, მხოლოდ 15 მილიონი ვართ, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არც ერთი კაცი არ დავკარგოთ!

***ფრიც ალსტრომი:*** „მე დანიელი ვარ, ჩვენ მხოლოდ 5 მილიონი ვართ (ჩვენი ანალოგია — *მ.კ.*), ამიტომ ჩვენ ჰოლანდიელებზე სამჯერ მეტად უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. ალბათ მიხვდით, რომ ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი ამ სიტყვებს საფეხბურთო რაკურსში ამბობდა. დანიაში 10 წელიწადში საშუალოდ 15 ძლიერი ფეხბურთელი იზრდება. გვაქვს კი ჩვენ უფლება არ გავუფრთხილდეთ თითოეულ ფეხბურთელს?

უეფას დევიზია: „ჩვენ ვზრუნავთ ფეხბურთზე და მართალიც არის: ჩვენ 12 სახის პირველობას ვატარებთ. ყოველ წელს 643 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს ვუყოფთ ევროპის 51 ქვეყანას, მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა. პირველი რაუნდიდან გავარდნილი კლუბიც კი იღებს თავის წილს. 1969 წლიდან კოვერჩიანოს მწვრთნელთა სკოლა ავამოქმედეთ, ერთი წლით ადრე მაკოლინში კი მსაჯთა მომზადების ცენტრი გავხსენით. უეფა განუხრელად ზრუნავს ფეხბურთის განვითარებაზე და აი, მივადექით მთავარ თემას — სპორტულ მასმედიას!

დიახ, სწორედ მედიის დამსახურებაა, დღეს რომ ფეხბურთი ასე პოპულარულია, სწორედ ჩვენ ვაქცევთ ფეხბურთელებს ვარსკვლავებად, სწორედ ჩვენს დაწერილ სტატიაზე, გადაღებულ სიუჟეტზე თუ აღებულ ინტერვიუზეა ხშირად დამოკიდებული, რამდენი კაცი მივა ფეხბურთზე, სწორედ ჩვენ ვართ რეკლამის მომზადებლები, რეკლამისა, რომელიც დღეს შემოსავლის ძირითადი წყაროა ფეხბურთში.

პრეს-ატაშეს კი გამორჩეული როლი აკისრია: პრეს-ატაშე ერთგვარი შუამავალია, იგი ხიდივით უნდა იყოს კლუბსა და პრესას შორის, თანაც იმავდროულად ორ ცეცხლს შუა: არც კლუბის ინტერესები დააზარალოს და არც ჟურნალისტებს მოაკლოს ინფორმაცია. უეფამ გადაწყვიტა შემოეღო ე.წ. მედია-ოფიცრების თანამდებობა და ყოველ დიდ ტურნირსა თუ მნიშვნელოვან მატჩს მედიის განხრით სწორედ უეფას მედია-ოფიცერი აკონტროლებს.

ბრიუსელში, ევროპის ქვეყნების ფედერაციების პრეს-ატაშეთა პირველ კონფერენციაზე საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა მთელი სიმძაფრით დასვეს დსთ-ს სივრცეში საფეხბურთო მეურნეობებში ამ მხრივ თავჩენილი პრობლემები. მესმის, ასე უცბად პრობლემებს ვერ გამოვლევთ, მაგრამ ახლავე თუ არ დავიწყეთ ამაზე ზრუნვა, იგივე იქნება 10 წლის შემდეგაც, ამიტომ ნელ-ნელა უნდა ვაშენოთ ის პრინციპები, რომლებიც დღეს ევროპის წამყვან ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია...“

ალსტრომმა კიდევ მრავალი საინტერესო ამბავი გვიამბო, რომლის თვითმხილველიც თვითონ იყო; თურმე 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის დასასრულამდე რამდენიმე წამი რჩება, „ბაიერნი“ 1-0-ს იგებს. კოლინამ ორი წუთი დაამატა თამაშს. ალექს ფერგიუსონს თანაშემწე ეუბნება: დრო კიდევ არის, იქნებ ანგარიში გავათანაბროთ?

— რას ამბობ! — გაოცებულა ფერგიუსონი, — ეს დრო სავსებით საკმარისია მოსაგებად (!!!).

ალსტრომის თქმით, მას ძალზე გაუჭირდა მორალურად, ოტმარ ჰიტცფელდთან მისულიყო და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მიეყვანა. მისდა გასაკვირად, რამდენიმე წუთის შემდეგ, ჰიტცფელდი გასახდელიდან გამოვიდა და ალსტრომს ჰკი-

*დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №97*

**იხ. მე-4 გვ.**

## ვაკეში პროგნოზი ოპტიმისტურია

არც ისე შორსაა 2001 წლის 28 მარტი, დღე, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მიიღებს რუმინეთის გუნდს. სად გაიმართება ეს შეხვედრა? — აი კითხვა, რომელიც ამჟამად აწუხებს ქართველ გულშემატკივრებს.

გუშინ, მდგომარეობის გასარკვევად კვლავ ვეწვიეთ ვაკის სტადიონს. ნანახმა ოპტიმისტურ განწყობაზე დაგვაყენა. ყოველდღე ამ ობიექტს ახალი კონსტრუქცია ემატება, საქმე წინ მიდის. რკინიგზის დეპარტამენტის მუშები, მისი ხელმძღვანელობა აკაკი ჩხაიძესა და გოგი ხაზარაძის მეთაურობით, გამუდმებით ამოწმებენ ჩატარებული სამუშაოების ხარისხს, საჭირო მითითებებს აძლევენ. მათი ვარაუდი ერთმნიშვნელოვანია — მარტის ბოლოს აქ შესაძლებელი იქნება რუმინელებთან მატჩის ჩატარება.

დავინტერესდით კიდევ რამდენიმე საკითხით. ამას წინათ, პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას უარი უთქვამს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მისი ახალი ოფისის სტადიონის ტერიტორიაზე აშენებისათვის. როგორც გავარკვიეთ, ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს: მოლაპარაკება ახლაც გრძელდება და სავარაუდოა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

ვისი სახელობის იქნება ახალი სტადიონი? დასამალი არაა, მის მეპატრონეს სურს ამ სპორტნაგებობას შეუნარჩუნოს ძველი სახელწოდება — „ლოკომოტივი“, მაგრამ, ცნობილია, ახლო წარსულში სტადიონს მიხეილ მესხის სახელი მიაკუთვნეს. იქნებ მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონი სჯობს?

მოკლედ, ვარიანტი რამდენიმეა და საბოლოო გადაწყვეტილებას მალე შევიტყობთ.

ერთ ცნობასაც მოგაწვდით. ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ უეფა მზადაა დააფინანსოს საქართველოს ეროვნული ნაკრების ბაზის მშენებლობა, ეგაა გაჭიანურდა მისთვის ადგილის გამოყოფა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ სფფ-მ თხოვნით მიმართა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორს ნაპოლეონ ქარქაშაძეს ლაახლოებით 4 ჰექტარი მიწა გამოეყო. საუ-ს თავკაცებმა გულთან ახლოს მიიტანეს ფედერაციის შუამდგომლობა და თანხმობა განაცხადეს, ასე რომ, გიხაროდენ, სულ მალე ჩვენს ნაკრებს საკუთარი ბაზა ექნება!

# თუ ოცნებაა, ოცნება იყოს!

*მესამე გვერდიდან*

თხა: საით არის პრესკონფერენციის ოთახი?

უეფას მედია-დირექტორის მონაყოლი მართლაც ფანტასტიკად შეიძლება ჩაითვალოს და მისივე თქმით, ამაში დიდია „ბაიერნის" პრეს-ატაშეს, მარკუს ჰორვიკის როლი. ჰორვიკი უკვე ოცი წელია „ბაიერნში" მუშაობს და მსოფლიოში საუკეთესო პრეს-ატაშედ ითვლება. მისი დიდი დამსახურებაა, რომ ამ დიდებულ კლუბში ჟურნალისტებს ყველა პატივს სცემს, მათ შორის, ლეგენდებსაც.

ალსტრომმა ამ ისტორიას ისიც დაუმატა, რომ ამ ფინალის შემდეგ ფერგიუსონმა ჰიტცფელდი ინგლისში სტუმრად მიიწვია და ამის შემდეგ დიდი ძმაკაცებიც გამხდარან...

შემდეგ შვედეთის პრეს-ატაშეს, გორან ჰავიკის ჯერიც დადგა. მან მოკლედ მოხაზა შვედეთის საფეხბურთო სტრუქტურა. ***რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შვედეთში ფეხბურთი პოპულარობით ოთხჯერ (!) უსწრებს ჰოკეის, ის კი არა, ჰოკეი სულაც მესამე ადგილზეა ფეხბურთის (2 მლნ კაცი) და ცხენოსნობის (663 ათასი კაცი) შემდეგ (!).***

ციფრი არ შემშლია, დიახ, ***ფეხბურთს დღეს შვედეთში სხვადასხვა დონეზე 2 მილიონი კაცი თამაშობს, არადა, ამ ქვეყნის მოსახლეობა 9 მილიონია. ფაქტიურად ყოველი მეხუთე შვედი ფეხბურთელია! მართლაც შთამბეჭდავი ციფრია. შვედეთში დღეს 25 ათასი ფეხბურთის გუნდია და ყოველ წელს 505 ათასი მატჩი იმართება. ესე იგი, 1400 მატჩი ყოველდღე! 17 ათასი მოქმედი მსაჯიდან 1200 ქალია! შვედეთში დევიზია: სპორტული კლუბი ყველა სოფელში და ასეც არის...***

ეს შესავლისთვის. რაც შეეხება შვედ კოლეგას, ყველაზე საინტერესო ჩემსა და სომეხ სურენ ბაღდასარიანის კითხვებზე (სხვები ნაკლებ აქტიურობდნენ) მისი მართლაც შვედური პასუხები იყო...

— რამდენ ჟურნალისტს აძლევთ აკრედიტაციას შვედეთის ეროვნული გუნდის საშინაო მატჩებისას?

— 400-500 ჟურნალისტს, ამაში შედიან პრესის მუშაკებიც, ფოტო და ტელეჟურნალისტებიც. მე და ჩემი სამი თანაშემწე ასეთ დროს ძლივს ავუდივართ საქმეს.

— ოდესმე თუ გითქვამთ უარი ჟურნალისტისთვის აკრედიტაციაზე?

— ბევრჯერ. მე აკრედიტაციას ვაძლევ იმ ჟურნალისტს, ***ვინც უნდა იმუშაოს და არა უყუროს მატჩს. ხშირად ყოფილა, რომ ისეთი გამოცემის ჟურნალისტებს მოუმართავთ მატჩის წინ, ფეხბურთთან საერთო რომ არა აქვთ. მე ეს მაღიზიანებს და უარს ვეუბნები — მოდით, ჯერ შვედეთის ჩემპიონატის მატჩებს დაესწარით და მერე მოინდომეთ ნაკრები-მეთქი. ჟურნალისტი თამაშზე საყურებლად კი არა, სამუშაოდ უნდა მიდიოდეს. დანარჩენებმა კი კეთილი ინებონ და ბილეთი აიღონ, არც ჟურნალისტური ეთიკის დამრღვევებს ვწყალობ.***

— მწვრთნელები ხშირად მალავენ ინფორმაციებს. ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევით თქვენ, ნაკრების პრეს-ატაშე, როდესაც უცხოელი ჟურნალისტები ინფორმაციას გთხოვენ?

— ოო, ეს მეტად რთული საკითხია, რა თქმა უნდა, ჟურნალისტური



ეთიკა გვავალებს, რომ კოლეგას ყოველგვარი ინფორმაცია უნდა მიაწოდო, მეორე მხრივ კი შენი სამსახურებრივი და გარკვეულწილად, პატრიოტული მომენტები დგას. ასეთ შემთხვევაში შემდეგნაირად ვიქცევი: დეტალურად ვუთანხმდები ნაკრების მწვრთნელს, თუ რა სახის და რა დოზირების ინფორმაცია უნდა გავცე და მხოლოდ ამის შემდეგ მივდივარ კომპიუტერთან და ტელეფონთან. ეს მეტად სათუთი თემაა და ფაქტიურად ბეწვის ხიდზე გავლას ნიშნავს...

— როგორ გეგმავთ ეროვნული გუნდის მატჩების წინ მასმედიასთან მუშაობას?

— ჩვენთან წესია: მატჩამდე 10-12 დღით ადრე ნაკრების მთავარ მწვრთნელთან პრესკონფერენციას ვაწყობ, შემდეგ ნაკრების შეკრების დაწყებისთანავე ეწყობა პრესკონფერენცია მთავარ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან, მატჩამდე 24 საათით ადრეც იგივე მეორდება, მატჩისშემდგომ კი იცით — პრესკონფერენცია კანონია...

— რა განსხვავებაა ნაკრებისა და კლუბის პრეს-ატაშეს შორის?

— ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ნაკრების პრეს-ატაშე გუნდთან ერთად წელიწადში 8-10-ჯერ არის 4-5 დღით, კლუბის პრეს-ატაშე კი ყოველგვარ ურთიერთობაშია ფეხბურთელებთან და კლუბის ცხოვრებით ცხოვრობს. ამ მხრივ სამაგალითოა მიუნჰენის „ბაიერნის", ამ „საფეხბურთო ჰოლივუდის" პრეს-ატაშე მარკუს ჰორვიკი, რომელმაც ახლა მეტად საინტერესო ავტობიოგრაფიული წიგნი გამოუშვა. სწორედ ეს წიგნი გამოადგებათ სამაგიდოდ კლუბის პრეს-ატაშეებს.

პრინციპი კი ორივეთათვის ერთია — მათ ფეხბურთსა და მედიას შორის ხიდის როლი უნდა შეასრულონ.

ამის შემდეგ სიტყვა ისევ ფრიც ალსტრომმა აიღო და სემინარის თემა სალაღობო მონათხრობებით შეცვალა დამსწრეთა გასამხიარულებლად. მაგალითად, კითხვაზე, რა მოსდევს პრეს-ატაშეს მიერ ამა თუ იმ ინფორმაციის დამალვას ჟურნალისტებისთვის, ალსტრომმა ჩვეული იუმორით უპასუხა:

— ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ. მაგალითად, უკაცრავად და შარდი მოგაწვათ. თუკი ამის დამალვას შეეცდებით, ჯანმრთელობა შეგერყევათ. თუ შარდი გაგეპარათ, თავიდან გათბებით, მაგრამ მერე გაცივდებით და ვეღარც საზოგადოებაში გამოჩნდებით. ასეა ინფორმაციის დამალვაც. გასაგებია, რომ ზოგჯერ ეს ინფორმაცია არცთუ სახარბიელოა კლუბისა თუ ნაკრებისთვის, მაგრამ სჯობია ყველას სწორედ პრეს-ატაშემ დაასწროს და პირველმა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, თუკი ეს ინფორმაცია საჩოთიროა. ინფორმაცია მაინც არ დაიმალება და არაა გამორიცხული დამახინჯებული ფორმით გავიდეს პრესაში თუ ტელევიზიაში. ეს კი ძალზე ავნებს კლუბისა და ნაკრების თუ ფედერაციის იმიჯს.

ერთ საგაზეთო სტატიაში მართლა ძნელია გადმოსცე ამ საინტერესო სემინარის ყველა დეტალი, მეც შევეცადე ძირითადი მომენტები მაინც მიმეწოდებინა მკითხველისთვის. სემინარი დროდადრო ფრიც ალსრომის იუმორითა და 5-7 წუთიანი სასწავლო ფილმებით ხალისდებოდა... სხვათა შორის, ერთ-ერთ მათგანში ქართველი ბიჭუნას მიერ კისერზე ყიფიანისებურად გაჩერებული ბურთი უჩვენეს.

სფფ-ს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უახლოეს თვეებში მოვაწყობთ მსგავს სემინარს ქართული კლუბების პრეს-ატაშეთათვის, რათა საფეხბურთო ევროპას არც ამ მხრივ ჩამოვრჩეთ.

სათაურში მოყვანილი სიტყვები თავად ალსტრომის ეკუთვნის.

***მამუკა კვარაცხელია,***
*სფფ-ს პრეს-ატაშე.*
*მოსკოვი — თბილისი*

## სატრანსფერო ცინცხალი ამბები

● **ლონდონის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მზადაა 7 მილიონი გირვანქა სტერლინგად შეიძინოს რომის „ლაციოს" ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასი.**

● **მოსკოვის** „ლოკომოტივის" მეკარე რუსლან ნიგმატულინის ლისაბონის „სპორტინგში" გადასვლის თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება დაინტერესებულ მხარეებს შორის, ნიგმატულინი შეცვლის დანიელ პიტერ შმაიხელს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს დატოვოს პორტუგალია.

● **ლატვიელმა ფორვარდმა ანდრეი შტოლცერსმა პირველი მატჩი ჩაატარა ინგლისის პირველი დივიზიონის „ფულემში", რომელსაც მეპატრონე ეგვიპტელი მილიონერი ალ ფაედი ჰყავს. ფულემმა სტუმრად 3-1 სძლია „ვესტ ბრომვიჩს".**

## „ფრაიბურგს" კვლავ ქართველები „ქაჩავენ"

შაბათს ისევ მოიგო ბუნდესლიგის მორიგი, XVI ტურის მატჩი ქართველებით გაჯერებულმა „ფრაიბურგმა", რომელმაც შინ „ბოხუმი" გაანადგურა. ჩვენ დავუკავშირდით გერ-


იაშვილი

მანიაში მყოფ ქართველ მწვრთნელ-სელექციონერს ბესო კირვალიძეს, რომელმაც გვითხრა, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტებმა დაასახელეს ალექსანდრე იაშვილი, მან ორი ლამაზი გოლი გაიტანა. იაშვილი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც კი შეიყვანეს. კარგად ითამაშა ლევან კობიაშვილმაც, მაგრამ ერთ ეპიზოდში მას უხეშად ეთამაშა ბოხუმელი მცველი (მეტოქის მოქნეულმა იდაყვმა ჩვენებური ნოკდაუნში გაგზავნა). ქართველი ლეგიონერი უმალ საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ კირვალიძემ დაგვამშვიდა — რამდენიმე დღეში ლევანი კვლავ მწყობრში ჩადგებაო.

რაკი კირვალიძესთან ლაპარაკის შესაძლებლობა მოგვეცა, ცხადია, მის კიდევ ერთ შეგირდზე — გიორგი კიკნაძეზე ვკითხეთ: „ეს ტრანსფერი (ლა-


კობიაშვილი

პარაკია კიკნაძის „სამსუნსპორიდან" „ფრაიბურგში" გადასვლაზე) ადვილი გასახერხებელი სულაც არ იყო, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და ამჟამად გიორგი გერმანული კლუბის სრულუფლებიანი წევრია".

## ალექსიძესაც ეშველა, „დინამოსაც"...

რა ხანია ველოდით ექს-დინამოელის **რატი ალექსიძის** დებიუტს პრემიერლიგაში. ეს ორი გარემოებით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი მოხვდებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში და, ცხადია, ეს სასიკეთოდ წაადგებოდა მის დასტატებას. შედეგად საქართველოს ეროვნული ნაკრები კიდევ ერთი მაღალი კლასის ნახევარმცველით შეივსებოდა. მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ასე ველოდით რატის გამოჩენას „ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში.

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოსა" და ლონდონის „ჩელსის" კონტრაქტი იმდაგვარადაა შედგენილი, რომ ქართული კლუბი თავის ფეხბურთელში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა საკომპენსაციო თანხას (300 ათასი აშშ დოლარი), თუკი იგი პრემიერლიგის მატჩს ითამაშებდა. და აი, ხელშეკრულების ეს პირობაც შესრულდა და აწი თბილისურ კლუბს შესაძლებლობა მიეცემა ნაწილობრივ მაინც გაიუმჯობესოს სავალალო ფინანსური მდგომარეობა.

## თანამეგობრობის თასზე: დავით ლორია, ვასო სეფაშვილი...

თანამეგობრობის თასზე: დავით ლორია, ვასო სეფაშვილი...ყაზახეთის „ქართული ჩემპიონი", ქ. ასტანის „ჟენისი", რომლის პრეზიდენტი გრიგოლ ლორია გახლავთ, ახლა მოსკოვში თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ ემზადება. როგორც გრიგოლ ლორია აცხადებს, იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ კლუბი არავინ დატოვოს და „ჟენისი" ამ თასზე წარმატებით გამოვიდეს. ემზადებიან ახალგაზრდა მეკარე დავით ლორია და გამოცდილი თავდამსხმელი ვასო სეფაშვილი, რომელიც ყაზახეთში ნალჩიკის „სპარტაკიდან" გადავიდა. ვასო თავდასხმაში ცნობილ ფორვარდ ვლადიმირ ნიდერგაუსთან ერთად თამაშობს, რომელიც ადრე წარმატებით გამოდიოდა ვოლგოგრადის „როტორში", შემდეგ კი ისრაელში. ყაზახეთის ჩემპიონატში ნიდერგაუსმა 15 გატანილი გოლით მეორე ადგილი დაიკავა, პირველი კი ბრაზილიელი მენდესი იყო 21 ბურთით. ბრაზილიელი პავლოდარის „ირტიში" გამოდის.

## „რა იქნებოდა „ციურიხი" უქართველებოდ?"

ასეთი სათაურით გამოვიდა გუშინ შვეიცარიული სპორტული გაზეთი „ფანი", რომელიც მიმოიხილავს ეროვნული ჩემპიონატის XXII ტურის შედეგებს. დღის მთავარ სენსაციად მოინათლა „გრასჰოპერსის" საშინაო მარცხი „ციურიხთან". აი, რას წერს გაზეთი: „კი ვიცოდით, რომ ქართველი ლეგიონერები — ჯამარაული და ყაველაშვილიი „ციურიხში" დიდ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ციურიხმა" 3-2 გაიმარჯვა და სამივე გოლი კავკასიელების ანგარიშზეა — ორი ყაველაშვილმა გაიტანა, ერთი ჯამარაულმა. აღსანიშნავია, რომ „ციურიხის" მიერ შეგდებული 36 გოლიდან უკვე 21 მათ აქტივშია. ეს განსაკუთრებული შედეგია და ლოგიკურად გვებადება კითხვა — თუ გაისად ქართველებმა კლუბი გამოიცვალეს, რა ეშველება „ცირიუხს?"



## იოჰან ბოსკამპი „გენკიდანაც" გააგდეს

თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ექს-მწვრთნელი, შემდგომში კი ბელგიის „გენკის" თავკაცი, კლუბის მეპატრონეთა გადაწყვეტილებით, გუშინ ამ გუნდიდანაც დაითხოვეს. გუშინწინ გენკმა მორიგი სამარცხვინო მარცხი — 1-5 იწვნია „ბეერსხოტთან".

## გახდება შოთა დორტმუნდელი?



**გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთი თვალსაჩინო გუნდის — დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი მატიას ზამერი ბოლო ხანს მეტად შეწუხებულია: „თავდასხმის ხაზში ისედაც პრობლემები გვქონდა, ჰეიკო ჰერლიხის ავადმყოფობამ ხომ საერთოდ დიდი სადარდებელი გაგვიჩინა. კლუბის მეპატრონეებს ვთხოვე სასწრაფოდ მოეძებნათ მისი შემცვლელი. კანდიდატურა მოძებნილია. ეს არის საქართველოს ნაკრებისა და „აიაქსის" თავდამსხმელი შოთა არველაძე, რომლის ტყუპისცალი არჩილი „კიოლნში" გამოდის. ამსტერდამულ კლუბს ვთხოვეთ შეეფასებინათ ფეხბურთელი. 8,5 მილიონი გირვანქა სტერლინგს გროშიც არ დააკლდებაო, უთქვამთ ჰოლანდიელებს. მალე ბუნდესლიგაში შესვენება გამოცხადდება და ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა ვიმუშაოთ ამ ტრანსფერის განხორციელებაზე".**

**მკითხველს შევახსენებთ, რომ უფრო ადრე შოთას გადაბირებაზე პრეტენზიას აცხადებდა თურქეთის უძლიერესი კლუბი — „გალათასარაი", თანაც თურქებს არჩილის ტრანსფერის განხორციელებაც სურდათ.**

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XIV ტური

ნუმანსია – სარაგოსა 1-1
ვალენსია – სოსიედადი 2-0
ლას პალმასი – ვილიარეალი 1-5
მალაგა – ვალიადოლიდი 3-1
ბილბაო – ოვიედო 4-0
რასინგი – ალავესი 2-1
ბარსელონა – ესპანიოლი 4-2
რეალი – სელტა 3-0
მალიორკა – ოსასუნა 1-1
დეპორტივო – რაიო 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 25-9 | 28 |
| დეპორტივო | 14 | 8 | 4 | 2 | 24-11 | 28 |
| რეალი | 13 | 8 | 2 | 3 | 29-16 | 26 |
| რაიო | 14 | 6 | 5 | 3 | 30-20 | 23 |
| ბარსელონა | 14 | 7 | 2 | 5 | 27-20 | 23 |
| მალიორკა | 14 | 6 | 4 | 4 | 16-15 | 22 |
| ალავესი | 14 | 6 | 3 | 5 | 20-14 | 21 |
| ოვიედო | 14 | 6 | 2 | 5 | 19-22 | 20 |
| ვილიარეალი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-18 | 19 |
| მალაგა | 14 | 5 | 3 | 6 | 23-23 | 18 |
| ბილბაო | 14 | 5 | 3 | 6 | 20-21 | 18 |
| ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| სელტა | 14 | 5 | 3 | 6 | 17-20 | 18 |
| ლას პალმასი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-29 | 18 |
| ვალიადოლ. | 14 | 3 | 7 | 4 | 14-17 | 16 |
| სარაგოსა | 13 | 3 | 6 | 4 | 14-14 | 15 |
| ნუმანსია | 14 | 3 | 4 | 7 | 14-22 | 13 |
| რასინგი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-25 | 13 |
| სოსიედადი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-30 | 12 |
| ოსასუნა | 14 | 1 | 7 | 6 | 12-21 | 10 |



## შვეიცარია
### „ა" ჯგუფი. XXII ტური

ლუცერნი – ლუგანო 1-1
ბაზელი – ლოზანა 2-3
გრასჰოპერსი – ციურიხი 2-3
ქსამაქსი – სიონი 1-0
სერვეტი – სტ. გალენი 3-1
ივერდონი – არაუ 3-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 22 | 12 | 6 | 4 | 33-16 | 42 |
| სტ. გალენი | 22 | 11 | 7 | 4 | 43-18 | 40 |
| გრასჰოპერსი | 22 | 11 | 3 | 8 | 46-25 | 36 |
| ლოზანა | 22 | 11 | 2 | 9 | 37-34 | 35 |
| ბაზელი | 22 | 10 | 4 | 8 | 42-36 | 34 |
| სერვეტი | 22 | 9 | 6 | 7 | 34-26 | 33 |
| სიონი | 22 | 9 | 5 | 8 | 27-31 | 32 |
| ციურიხი | 22 | 8 | 7 | 7 | 36-29 | 31 |
| არაუ | 22 | 6 | 6 | 10 | 31-43 | 24 |
| ივერდონი | 22 | 5 | 6 | 11 | 27-43 | 21 |
| ქსამაქსი | 22 | 6 | 2 | 14 | 21-53 | 20 |
| ლუცერნი | 22 | 5 | 4 | 13 | 27-50 | 19 |

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XX ტური

პსჟ – მეცი 1-0
ლიონი – ბასტია 1-0
ტულუზა – ლანსი 1-0
გენგამი – მონაკო 2-2
სტრასბური – რენი 1-1
ლილი – სედანი 2-0
ოსერი – ტრუა 2-2
მარსელი – ნანტი 2-0
ბორდო – სტ. ეტიენი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 20 | 9 | 7 | 4 | 27-16 | 34 |
| ნანტი | 19 | 10 | 3 | 6 | 32-23 | 33 |
| სედანი | 20 | 9 | 6 | 5 | 30-21 | 33 |
| ლილი | 19 | 8 | 6 | 5 | 20-14 | 30 |
| ლანსი | 20 | 8 | 6 | 6 | 23-19 | 30 |
| გენგამი | 20 | 8 | 5 | 7 | 23-24 | 29 |
| ლიონი | 19 | 6 | 10 | 3 | 23-16 | 28 |
| ბასტია | 19 | 8 | 4 | 7 | 21-19 | 28 |
| პსჟ | 19 | 8 | 4 | 7 | 30-28 | 28 |
| ტრუა | 20 | 7 | 6 | 7 | 24-28 | 27 |
| რენი | 20 | 7 | 5 | 8 | 20-19 | 26 |
| მონაკო | 20 | 7 | 5 | 8 | 27-27 | 26 |
| ოსერი | 20 | 7 | 5 | 8 | 21-24 | 26 |
| სტ. ეტიენი | 20 | 6 | 6 | 8 | 27-29 | 24 |
| მარსელი | 20 | 7 | 3 | 10 | 21-25 | 24 |
| მეცი | 20 | 5 | 6 | 9 | 15-24 | 21 |
| ტულუზი | 19 | 4 | 6 | 9 | 17-22 | 18 |
| სტრასბური | 20 | 4 | 5 | 11 | 16-39 | 17 |



## იტალია
### სერია A. X ტური

რეჯინა – ვერონა 1-1
ბრეშია – ნაპოლი 1-1
ატალანტა – პერუჯა 0-0
ბარი – ბოლონია 2-0
იუვენტუსი – პარმა 1-0
მილანი – ლეჩე 4-1
რომა უდინეზე 2-1
ვიჩენცა – ლაციო 1-4
ფიორენტინა – ინტერი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 10 | 8 | 1 | 1 | 22-8 | 25 |
| ატალანტა | 10 | 5 | 4 | 1 | 15-8 | 19 |
| იუვენტუსი | 10 | 5 | 4 | 1 | 15-9 | 19 |
| ლაციო | 10 | 5 | 3 | 2 | 17-10 | 18 |
| მილანი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-12 | 18 |
| პარმა | 10 | 5 | 2 | 3 | 13-8 | 17 |
| ბოლონია | 10 | 5 | 2 | 3 | 16-12 | 17 |
| უდინეზე | 10 | 5 | 1 | 4 | 17-11 | 16 |
| ფიორენტინა | 10 | 3 | 5 | 2 | 17-15 | 14 |
| ინტერი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| ლეჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 8-14 | 12 |
| ვერონა | 10 | 2 | 5 | 3 | 13-17 | 11 |
| პერუჯა | 10 | 2 | 4 | 4 | 11-15 | 10 |
| ვიჩენცა | 10 | 2 | 3 | 5 | 11-18 | 9 |
| ბარი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-15 | 8 |
| ბრეშია | 10 | 1 | 4 | 5 | 11-16 | 7 |
| ნაპოლი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-16 | 7 |
| რეჯინა | 10 | 1 | 1 | 8 | 5-19 | 4 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XVII ტური

არსენალი – ნიუკასლი 5-0
ბრედფორდი – ტოტენჰემი 3-3
ჩარლტონი – მანჩესტერ იუნ. 3-3
ჩელსი – დერბი 4-1
მანჩესტერ სიტი – ევერტონი 5-0
საუთჰემპტონი – ლიდსი 1-0
სანდერლენდი – მიდლსბრო 1-0
ვესტ ჰემი – ასტონ ვილა 1-1
ლივერპული – იფსვიჩი 0-1
ქოვენთრი – ლესტერი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ | 17 | 12 | 4 | 1 | 44-13 | 40 |
| არსენალი | 17 | 10 | 4 | 3 | 29-13 | 34 |
| იფსვიჩი | 17 | 9 | 3 | 5 | 24-17 | 30 |
| ლესტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 17-13 | 29 |
| სანდერლ. | 17 | 8 | 5 | 4 | 18-16 | 29 |
| ლივერპული | 17 | 8 | 3 | 6 | 32-24 | 27 |
| ვესტ ჰემი | 17 | 6 | 7 | 4 | 23-17 | 25 |
| ასტონ ვილა | 16 | 6 | 7 | 3 | 19-14 | 25 |
| ტოტენჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 25-26 | 24 |
| ნიუკასლი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-21 | 24 |
| ჩელსი | 17 | 6 | 5 | 6 | 32-24 | 23 |
| ლიდსი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-23 | 22 |
| ჩარლტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 24-27 | 22 |
| ევერტონი | 17 | 6 | 3 | 8 | 19-28 | 21 |
| საუთჰემპტ. | 17 | 5 | 5 | 7 | 22-28 | 20 |
| მანჩ.სიტი | 17 | 5 | 2 | 10 | 23-30 | 17 |
| ქოვენთრი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-32 | 15 |
| დერბი | 17 | 2 | 7 | 8 | 20-35 | 13 |
| ბრედფორდი | 17 | 2 | 6 | 9 | 12-28 | 12 |
| მიდლსბრო | 17 | 2 | 5 | 10 | 19-28 | 11 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XVI ტური

აინტრახტი – ვოლფსბურგი 1-2
მიუნხენი – ჰანზა 2-1
ფრაიბურგი – ბოხუმი 5-0
შალკე – შტუტგარტი 2-1
დორტმუნდი – უნტერჰახ. 3-0
კაიზერი – ბაიერნი 0-0
ლევერკუზენი – ჰერტა 4-0
ვერდერი – კიოლნი 2-1
ჰამბურგი – კოტბუსი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზ. | 16 | 9 | 4 | 3 | 26-16 | 31 |
| შალკე | 16 | 9 | 3 | 4 | 33-17 | 30 |
| დორტმუნდი | 26 | 9 | 2 | 5 | 27-24 | 29 |
| ჰერტა | 16 | 9 | 1 | 6 | 34-27 | 28 |
| ბაიერნი | 16 | 8 | 3 | 5 | 32-18 | 27 |
| ვოლფსბურგი | 16 | 6 | 6 | 4 | 33-22 | 24 |
| კიოლნი | 16 | 7 | 3 | 6 | 31-27 | 24 |
| კაიზერი | 16 | 7 | 3 | 6 | 21-21 | 24 |
| ჰამბურგი | 16 | 6 | 3 | 7 | 33-30 | 21 |
| ფრაიბურგი | 16 | 5 | 5 | 6 | 23-20 | 20 |
| ვერდერი | 15 | 5 | 5 | 5 | 20-21 | 20 |
| აინტრახტი | 16 | 6 | 2 | 8 | 21-25 | 20 |
| მიუნხენი | 16 | 4 | 6 | 6 | 19-28 | 18 |
| ჰანზა | 16 | 5 | 3 | 8 | 13-25 | 18 |
| უნტერჰახ. | 15 | 4 | 5 | 6 | 17-25 | 17 |
| კოტბუსი | 16 | 5 | 2 | 9 | 17-28 | 17 |
| ბოხუმი | 16 | 4 | 3 | 9 | 13-31 | 15 |
| შტუტგარტი | 16 | 3 | 5 | 8 | 21-29 | 14 |

## თურქეთი
### XVI ტური

დენიზლი – ტრაბზონი 2-0
სამსუნი – ადანა 3-1
ისთანბული – ანთალია 2-0
ქაჯოელი – რიზე 2-1
ბურსა – ფენერბახჩე 2-2
იეთფა – ბეშიქთაში 1-1
ერზრუმი – ანკარა 1-1
გენჩლერბირ. – იოზგათი 2-1
გალათასარ. – გაზიანთ. 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 15 | 11 | 2 | 2 | 37-11 | 35 |
| ბეშიქთაში | 16 | 11 | 2 | 3 | 36-23 | 35 |
| ფენერბახჩე | 16 | 10 | 3 | 3 | 39-21 | 33 |
| გენჩლერბირ. | 16 | 9 | 3 | 4 | 22-15 | 30 |
| გაზიანთეფი | 16 | 8 | 5 | 3 | 30-20 | 29 |
| ტრაბზონი | 16 | 8 | 4 | 4 | 32-22 | 28 |
| სამსუნი | 16 | 8 | 4 | 4 | 27-20 | 28 |
| ისთანბული | 16 | 7 | 4 | 5 | 22-21 | 25 |
| ანკარა | 16 | 5 | 6 | 5 | 23-27 | 21 |
| იოზგათი | 16 | 5 | 5 | 6 | 23-20 | 20 |
| ანთალია | 15 | 5 | 5 | 5 | 20-23 | 20 |
| დენიზლი | 16 | 5 | 5 | 6 | 20-27 | 20 |
| ბურსა | 16 | 3 | 5 | 8 | 19-34 | 14 |
| რიზე | 16 | 3 | 4 | 9 | 15-20 | 13 |
| ადანა | 16 | 2 | 6 | 8 | 21-30 | 12 |
| ერზრუმი | 16 | 3 | 3 | 10 | 19-36 | 12 |
| ქაჯოელი | 16 | 1 | 6 | 9 | 14-29 | 9 |
| იეთფა | 16 | 0 | 6 | 10 | 17-37 | 6 |

## საბერძნეთი
### X ტური

იონიკოსი – ოფი 1-0
პანაჰაიკი – პანიონიოსი 1-1
პანილიაკოსი – ეთნიკოსი 1-0
აეკ – არისი 3-1
კალამატა – იანინა 3-4
პანათინაიკ. – ათინაიკ. 1-0
პაოკი – ირაკლისი 4-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 9 | 7 | 2 | 0 | 31-9 | 23 |
| პანათინაიკ. | 10 | 6 | 4 | 0 | 15-5 | 22 |
| აეკი | 10 | 6 | 1 | 3 | 20-15 | 19 |
| იონიკოსი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-10 | 18 |
| ირაკლისი | 10 | 5 | 2 | 3 | 14-10 | 17 |
| ეთნიკოსი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-17 | 17 |
| პაოკი | 10 | 4 | 4 | 2 | 19-16 | 16 |
| ქსანთი | 9 | 4 | 3 | 2 | 8-8 | 15 |
| არისი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-11 | 14 |
| პანიონიოსი | 10 | 2 | 5 | 3 | 10-13 | 11 |
| იანინა | 10 | 2 | 3 | 5 | 16-20 | 9 |
| პანაჰაიკი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-19 | 9 |
| პანალიაკოსი | 10 | 1 | 4 | 5 | 5-14 | 7 |
| ათინაიკოსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-21 | 7 |
| კალამატა | 10 | 1 | 3 | 6 | 16-24 | 6 |
| ოფი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-18 | 5 |





## პორტუგალია
### I ლიგა. XIV ტური

ჟილ ვისენტე – ბოავიშტა 0-2
გიმარაეში – ფერეირა 0-1
სპორტინგი – ბელენენსეში 2-1
ფარენსე – კამპომაიორენსე 1-3
ავეში – ლეირია 1-1
მარიტიმუ – ბრაგა 2-0
სალგეირუში – ამადორა 1-0
ალვერკა – ბენფიკა 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 10 | 1 | 2 | 31-9 | 31 |
| ბოავიშტა | 14 | 8 | 5 | 1 | 29-11 | 29 |
| სპორტინგი | 14 | 9 | 2 | 3 | 25-14 | 29 |
| ბრაგა | 14 | 8 | 3 | 3 | 23-17 | 27 |
| ბელენენსეში | 14 | 7 | 4 | 3 | 17-12 | 25 |
| ბენფიკა | 14 | 7 | 3 | 4 | 22-14 | 24 |
| სალგეირუში | 14 | 8 | 0 | 6 | 18-19 | 24 |
| ფერეირა | 14 | 6 | 4 | 4 | 21-13 | 22 |
| მარიტიმუ | 14 | 6 | 3 | 5 | 16-12 | 21 |
| ფარენსე | 14 | 5 | 4 | 5 | 19-19 | 19 |
| ლეირია | 14 | 4 | 6 | 4 | 14-21 | 18 |
| ბეირა მარი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-19 | 15 |
| ალვერკა | 14 | 4 | 3 | 7 | 17-27 | 15 |
| კამპომაიორ. | 14 | 2 | 7 | 5 | 13-23 | 13 |
| გიმარაეში | 14 | 3 | 3 | 8 | 17-25 | 12 |
| ავეში | 14 | 2 | 3 | 9 | 15-26 | 9 |
| ამადორა | 14 | 2 | 1 | 11 | 11-26 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 1 | 3 | 10 | 8-22 | 6 |



## ჰოლანდია
### I დივიზიონი

როდა – ტილბურგი 0-1
გრააფსხაპი – გრონინგენი 0-4
სიტარდი – სპარტა 2-1
ალკმაარი – ნაიმეგენი 0-0
ფეიენოორდი – აიაქსი 3-1
ვიტესი – ჰერენვენი 0-0
უტრეხტი – ბრედა 5-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 14 | 12 | 1 | 1 | 35-13 | 37 |
| პსვ | 14 | 10 | 3 | 1 | 25-10 | 33 |
| ვიტესი | 15 | 10 | 3 | 2 | 32-20 | 33 |
| აიაქსი | 17 | 9 | 3 | 5 | 40-23 | 30 |
| ნაიმეგენი | 16 | 6 | 9 | 1 | 24-15 | 27 |
| როდა | 16 | 7 | 3 | 6 | 31-25 | 24 |
| ვალვაიკი | 15 | 6 | 5 | 4 | 15-13 | 23 |
| ალკმაარი | 16 | 6 | 5 | 5 | 26-24 | 23 |
| უტრეხტი | 16 | 6 | 3 | 7 | 29-29 | 21 |
| ტვენტე | 15 | 5 | 5 | 5 | 25-24 | 20 |
| ბრედა | 15 | 6 | 2 | 7 | 21-26 | 20 |
| ტილბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 21-21 | 18 |
| ჰერენვენი | 15 | 3 | 7 | 5 | 16-25 | 16 |
| გრონინგენი | 16 | 4 | 4 | 8 | 22-28 | 16 |
| გრააფსხაპი | 17 | 4 | 1 | 12 | 24-35 | 13 |
| სპარტა | 16 | 3 | 4 | 9 | 22-33 | 13 |
| როზენდალი | 15 | 3 | 0 | 12 | 21-40 | 9 |
| სიტარდი | 15 | 1 | 4 | 10 | 9-34 | 7 |

## ბელგია
### XVI ტური

სტანდარდი – მუსკრონი 3-3
ლუვიე – გენტი 1-1
ბეერსხოტი – გენკი 5-1
მეხელენი – ანდერლეხტი 0-2
სტ. ტრუიდენი – შარლერუა 1-3
ვესტერლო – ბევერენი 1-2
ბრიუგე – ლიერსი 1-0
აალსტი – ანტვერპენი 0-4
ჰარელბეკე – ლოკერენი 1-6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 16 | 15 | 0 | 1 | 54-10 | 45 |
| ანდერლეხტი | 16 | 13 | 3 | 0 | 47-13 | 42 |
| სტანდარდი | 16 | 9 | 4 | 3 | 41-23 | 31 |
| მუსკრონი | 16 | 9 | 2 | 5 | 37-21 | 29 |
| გენტი | 16 | 8 | 4 | 4 | 31-25 | 28 |
| შარლერუა | 16 | 9 | 1 | 6 | 28-30 | 28 |
| ვესტერლო | 16 | 8 | 3 | 5 | 28-24 | 27 |
| ლიერსი | 16 | 7 | 3 | 6 | 26-23 | 24 |
| ბეერსხოტი | 16 | 7 | 1 | 8 | 27-25 | 22 |
| ლოკერენი | 16 | 5 | 6 | 5 | 22-24 | 21 |
| ბევერენი | 16 | 5 | 5 | 6 | 14-28 | 20 |
| ანტვერპენი | 16 | 6 | 1 | 9 | 20-24 | 19 |
| გენკი | 16 | 4 | 6 | 6 | 18-21 | 18 |
| სტ. ტრუიდ. | 16 | 3 | 4 | 9 | 17-29 | 13 |
| აალსტი | 16 | 3 | 4 | 9 | 17-38 | 13 |
| მეხელენი | 16 | 2 | 3 | 11 | 20-37 | 9 |
| ლუვიე | 16 | 1 | 5 | 10 | 12-31 | 8 |
| ჰარელბეკე | 16 | 2 | 1 | 13 | 20-55 | 7 |

## ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 13 | 1 | 3 | 42-14 | 40 |
| ტეპლიცე | 15 | 8 | 3 | 4 | 27-16 | 27 |
| სიგმა | 15 | 7 | 5 | 3 | 26-15 | 26 |
| პრჟიბრამი | 16 | 7 | 4 | 5 | 24-18 | 25 |
| სინოტი | 16 | 6 | 7 | 3 | 24-18 | 25 |
| ჟიჟკოვი | 16 | 7 | 4 | 5 | 25-24 | 25 |
| ლიბერეცი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-22 | 24 |
| სლავია | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| ბოჰემიანსი | 16 | 4 | 7 | 5 | 20-20 | 19 |
| იაბლონეცი | 16 | 4 | 7 | 5 | 15-21 | 19 |
| ბლშანი | 16 | 4 | 5 | 7 | 16-19 | 17 |
| ბრნო | 16 | 5 | 2 | 9 | 16-21 | 17 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 14-19 | 17 |
| ბუდიოვიცე | 16 | 3 | 6 | 7 | 19-31 | 15 |
| ბანიკი | 16 | 3 | 6 | 7 | 14-28 | 15 |
| პლზენი | 16 | 1 | 6 | 9 | 13-34 | 9 |

## შოტლანდია
### XX ტური

ჰიბერნიანი – დანფერმლაინი 3-0
კილმარნოკი – ჰართსი 0-3
სტ. ჯონსტონი – სტ. მირენი 2-0
რეინჯერსი – მოზერუელი 2-0
დანდი – სელტიკი 1-2
აბერდინი – დანდი იუნ. (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 20 | 16 | 3 | 1 | 48-21 | 51 |
| ჰიბერნიანი | 20 | 13 | 5 | 2 | 37-13 | 44 |
| რეინჯერსი | 18 | 12 | 2 | 4 | 39-21 | 38 |
| კილმარნოკი | 20 | 11 | 3 | 6 | 25-21 | 36 |
| ჰართსი | 20 | 8 | 4 | 8 | 31-30 | 28 |
| სტ. ჯონსტ. | 20 | 7 | 7 | 6 | 21-25 | 28 |
| დანდი | 19 | 6 | 5 | 8 | 26-21 | 23 |
| მოზერველი | 20 | 6 | 4 | 10 | 25-31 | 22 |
| დანფერმლ. | 20 | 5 | 5 | 10 | 16-28 | 20 |
| აბერდინი | 18 | 3 | 8 | 7 | 18-25 | 17 |
| სტ. მირენი | 20 | 3 | 3 | 14 | 13-38 | 12 |
| დანდი იუნ. | 19 | 1 | 3 | 15 | 12-37 | 6 |

## XX საუკუნის ვარსკვლავები

# ეს სკანდალური „ბინძურსიფათიანი"

### ერერას მორიგი სარმა

1968-69 წლების სეზონი სივორის კარიერაში ბოლო გამოდგა და დასრულდა მორიგი სკანდალით. ტრავმების გამო იმხანად საკმაო დრო დაჰყო საავადმყოფოში. მხოლოდ ნოემბერში მიეცა საშუალება კვლავ შედგომოდა ვარჯიშს.

„ნაპოლიში" მწვრთნელი ისევ შეცვალეს. ახალმოსულმა კარლო პაროლამ, რომელმაც პეზაოლა შეცვალა, სივორის შემცვლელი მოძებნა — ბარიზონი, მაგრამ ბებერი მგელი მაინც ჯიუტად იმეორებდა — ჩემს პოზიციაზე დარი არა მყავსო.

ერთ დღეს მოხდა დიდი შეხლა-შემოხლა სივორის, პაროლას, ექიმ კორვინოსა და ადმინისტრატორ რობერტო ფიორეს შორის. მწვრთნელი ამტკიცებდა, რომ სივორის ძალა მხოლოდ 60 წუთს ჰყოფნის, ამიტომ მას ძირითად შემადგენლობაში ვერ დააყენებდა. სივორი კი ჯიუტად იმეორებდა: მინდა თამაში და ვითამაშებ კიდეც! შედეგად დისციპლინის დარღვევისათვის იგი 1 მილიონი ლირის ოდენობის ჯარიმით „დაასაჩუქრეს". ეს კიდევ არაფერი, სკანდალისტ ფეხბურთელს თანაგუნდელებმაც შეაქციეს ზურგი. სხვათა შორის, ამით პოულობენ ხოლმე განსხვავებას სივორისა და მარადონას პიროვნებებს შორის — მარადონაც იყო კონფლიქტური ხასიათის ადამიანი, მაგრამ „ნეაპოლში" იგი ყველას უყვარდა.

დიდი შესვენების შემდეგ, 13 ნოემბერს სივორი კვლავ გამოჩნდა მინდორზე უეფას თასის მატჩში „ლიდსის" წინააღმდეგ. 17 ნოემბერს „პალერმოსთან" სწორედ მან შეაგდო გამარჯვების გოლი. მაგრამ დადგა 1 დეკემბერი — საბედისწერო დღე ვეტერანისათვის: „ნაპოლის" მეტოქე „იუვენტუსი" იყო, გუნდი, სადაც კვლავ აგრძელებდა მუშაობას სივორის დაუძინებელი მტერი — ერიბერტო ერერა. ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელი მორიგ პროვოკაციას მოუწყობდა ფეხბურთელს. ასეც მოხდა. ერერამ სათანადოდ დამოძლვრა სივორის პერსონალური დარაჯი — ფავალი: მან ყველაფერი იღონა, რათა ვეტერანი მოთმინებიდან გამოეყვანა, მიმართავდა სიმულაციას, ახელებდა მეტოქეს. ერთხელაც, როცა ფავალიმ ჩუმად შეაგინა, სივორიმ ხელი წამოარტყა და არბიტრმა პიერონიმ იგი მინდვრიდან გააძევა. მსაჯის უსამართლობამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მეტოქე ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაიწიეს. შედეგად მსაჯმა კიდევ რამდენიმე მოთამაშე გააძევა.

ამ ინციდენტის გამო სივორიმ ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. გახევებულმა ვეტერანმა პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც ერიბერტო ერერა მიწასთან გაასწორა. მეორე დღეს, 6 დეკემბერს სივორიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ უსამართლო დისკვალიფიკაციის გამო, თავს ანებებს თამაშს. ასე დასრულდა ამ გენიალური სკანდალისტის კარიერა.




### მწვრთნელადაც ისეთივე ექსცენტრული დარჩა

იტალიაში გადასვლის შემდეგ დაოჯახდა. ეს მოხდა 1957 წლის 21 დეკემბერს. ელენე კაზამ მას სამი შვილი გაუჩინა. საგულისხმოა, რომ ისინი მაშინ იბადებოდნენ, როცა სივორი იტალიის ჩემპიონი ხდებოდა, ანუ 1958-ში (ქალიშვილი მირიამი), 1960-ში (ვაჟიშვილი ნესტორი), 1962-ში (ვაჟიშვილი უმბერტო რენატო). პასპორტით სამივე იტალიელია.

აბა, როგორ გგონიათ, ასეთი ენერგიით სავსე კაცი, როგორიც სივორია, დიდხანს გაჩერდებოდა უფეხბურთოდ? ერთი წლის შემდეგ იგი უკვე მწვრთნელად მუშაობს. 1970-ში მან „როსარიო სენტრალი" ჩაიბარა. ენერგიულად შეუდგა საქმეს, მაგრამ... უდისციპლინობამ აქაც იჩინა თავი. კლუბის მეპატრონეთა დაუკითხავად გაემგზავრა მექსიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, რადიოკომენტატორად. როცა დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ „როსარიოს" უკვე სხვა დამრიგებელი ჰყავდა.

1971-ში სივორიმ მუშაობა დაიწყო „ესტუდიანტესში", აქაც დიდხანს ვერ გაძლო — მხოლოდ 15 დღე.

შემდეგი მისი გუნდი არგენტინის ნაკრები იყო, რომელიც 1972 წლის ნოემბერში ჩაიბარა. სამწუხაროდ, მთავარი ამოცანა — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წარმატებით გავლა სივორიმ ვერ შეასრულა, უფრო ზუსტად, არ დასცალდა: არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ჩინოვნიკს წაეჩხუბა, რის გამოც ნაკრებიდან დაითხოვეს.

დეპრესიაში ჩავარდა, სმას მოუხშირა, მაგრამ ნებისყოფა მოიკრიბა და მწვრთნელობა გააგრძელა: „რივერ პლეიტი" (1974), „ნეაპოლი" (1976), „ველეს სერსფილდი" (1978-1979). როგორც ხედავთ, თითოეულ გუნდში დიდხანს არ გაჩერებულა — კლუბების მესვეურებთან საერთო ენას ვერ პოულობდა.

მერე? მერე საერთოდ ჩამოშორდა ფეხბურთს. სოფელში დასახლდა და ტელევიზიით ადევნებდა თვალს საყვარელ თამაშს, რომელსაც მთელი თავისი მშფოთვარე ცხოვრება შეალია.

**ჯემალ ჭიპაშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. №97

## ტრადიციული „33"

რუსეთის ფეხბურთის კავშირის ტექნიკურმა კომიტეტმა რფკ-ის აღმასკომს წარუდგინა სეზონის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელშიც შედიან: მეკარეები: 1. ნიგმატულინი („ლოკომოტივი" მ.) 2. ფილიმონოვი („სპარტაკი"), 3. მანდრიკინი („ალანია"). მარჯვენა მცველები: პარფიონოვი („სპარტაკი"). 2. ჩუისე („ჩერნომორეცი" — „სპარტაკი). 3. ნიჟეგოროდოვი („ლოკომოტივი" მ.). ლიბერო: 1. ჩუგაინოვი ( „ლოკომოტივი" მ.). 2. ანანკო („სპარტაკი"). ბოროდიუკი („კრილია სოვეტოვი"). წინა მცველები: დროზდოვი („ლოკომოტივი მ.). 2. ვარლამოვი (ცსკა). 3. ლიტვინოვი („ტორპედო"). მარცხენა მცველები: 1. კოვტუნი („სპარტაკი"). 2. ტოჩილინი („დინამო"). 3. ევსეევი („ლოკომოტივი" მ). მარცხენა მცველები: 1. გუსევი („დინამო"). 2. ბარანოვი („სპარტაკი"). 3. ესიპოვი („როტორი"). საყრდენი ნახევარმცველები: 1. ბულატოვი („სპარტაკი"). 2. რახიმიჩი („ანჟი"). 3. კალინიჩენკო („სპარტაკი"). „ქვე თავდამსხმელები": 1. ტიტოვი („სპარტაკი"), 2. ლოსკოვი („ლოკომოტივი" მ.). 3. პრიზეტკო („ჩერნომორეცი"). მარცხენა ნახევარმცველები: 1. სირხაევი („ანჟი"), 2. რომაშჩენკო („დინამო"), 3. ბეზროდნი („სპარტაკი"). მარცხენა თავდამსხმელები: 1. ბუზნიკინი („სპარტაკი), 2. პანოვი („ზენიტი"). 3. რანჯელოვიჩი („ანჟი). მარცხენა თავდამსხმელები: 1. სემაკი (ცსკა), 2. რობსონი („სპარტაკი"). 3. კირიჩენკო („როსტსელმაში").

ტექნიკურმა კომიტეტმა განიხილა 2001 წლის ქვეყნის უმაღლესი დივიზიონის ჩემპიონატის კალენდარი. ნავარაუდევია პირველობა დაიწყოს 10 მარტს და დამთავრდეს 4-7 ნოემბერს, თასის ფინალი 27 ივნისს. პირველ წრესა და მეორეს შორის შესვენება იქნება 1 დან 13 ივნისამდე. ჩატარდება 80-იანი წლების ფედერაციის თასის მსგავსი ახალი ტურნირი.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ერიქსონი – ვენგერი: გაცვლა?

**გაისად „ლაციოს" მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი ინგლისის ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს. ცხადია, რომაელთა კლუბის პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტი ამთავითვე ზრუნავს მის შემცვლელზე. პრეზიდენტის გადაწყვეტილება მეტად ორიგინალურია: თუ ინგლისელებმა მწვრთნელი წაგვართვეს, რატომ არ შეიძლება მათ ხურდა დავუბრუნოთ? თურმე, ნუ იტყვით, კრანიოტი თავისი გუნდის მომავალ თავკაცად ინგლისური „არსენალის" მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს მოიაზრებს. მას არც ის აფერხებს, რომ ვენგერს მეთოფეებთან 2002 წლის ივნისამდე აკავშირებს კონტრაქტი. „მთავარია გქონდეს ფული და ყველაფერს მოევლება" — ამბობს რომაელთა კლუბის ბოსი.**

### ეს მოუსვენარი ავსტრიელები

რამდენიმე წლის წინათ ავსტრიელებმა უნგრელებთან ერთად სურვილი გამოთქვეს უმასპინძლონ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატს, მაგრამ უეფამ ეს უფლება პორტუგალიელებს მიანიჭა. მიუხედავად ამისა, ავსტრიელები უკან არ იხევენ და ახლა უკვე მომდევნო, 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებენ. ამჯერად მათ შვეიცარიელები შეი... [illegible] რას გადაწყვეტს უეფა.

### კოლივანოვი „ბოლონიას" არ სჭირდება

**იგორ კოლივანოვი „ბოლონიის" მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის არა სჭირდება, მისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ გამოინახა.**

**ახლა რუსი თავდამსხმელი, ეტყობა, საუდის არაბეთის ჩემპიონ „ალ-ჰალილში" გადადის, სადაც რამდენიმე ხნის წინათ „მილანის" ცნობილი ნახევარმცველი რობერტო დონადონი თამაშობდა.**

## დიახ, მათეუსი თამაშს აგრძელებს

არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ლოთარ მათეუსს 40 წელი შეუსრულდება. რა თქმა უნდა, ფეხბურთში არიან მასზე უფრო ხნიერი მოთამაშეებიც, მაგრამ არა ასეთი დონისა და კლასისა. საინტერესოა ისიც, რომ მწვრთნელობის არაერთი წინადადების მიუხედავად (რას აღარ სთავაზობდნენ!), მათეუსი სულაც არ აპირებს თავისთვის ამ ახალი საქმიანობის დაწყებას, სხვა ხანდაზმული ვარსკვლავი რომ დიდი ჰოფმანის მერე მაინც დათანხმდებოდა. დიახ, გამოსათხოვარი მატჩიც მოუწყვეს, რომელშიც მარადონაც მონაწილეობდა (სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ უწოდეს არგენტინელს ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა „მარატონა", ცხადია, ზედმეტი წონის გამო),



მათეუსის ყველა ძველი მწვრთნელი (რიბეკი, ჰიტცფელდი, ლატეკი, ჰაინკესი, ტრაპატონი, ფოგტსი, რეჰაგელი) და მისი სამივე ცოლი (სილვია, რომლისგანაც ორი შვილი ჰყავს — 14 წლის ალისა და 12 წლის ვიოლა, მეორე მეუღლე — ლოლიტა ვაჟით ლორისით და ახლანდელი მეგობარი 23 წლის მარენი) ესწრებოდა, მაგრამ რალა გამოსათხოვარი გამოდგა. მის შემდეგ ხომ მათეუსი ევროპის ჩემპიონატშიც კი მონაწილეობდა და ამერიკულ ლიგაშიც თამაშობდა.

ახლა მათეუსს მხოლოდ ერთი რამ სურს — თამაშის გაგრძელება. მისი კონტრაქტი „ნიუ-იორკ — ნიუ-ჯერსი მეტროსტარზთან" დამთავრდა და ლოთარმა შვებით ამოისუნთქა. იგი ხომ ამერიკულ კლუბს ვერ შეეგუა. ახლა ევროპაში დაბრუნდა და ელის კონკრეტულ წინადადებებს. როგორც მათეუსი აცხადებს, მას უკვე გამოუჩნდა რამდენიმე კლუბი, რომელთაც მისი მიწვევა სურთ. ფეხბურთელი ფიქრობს და თანაც აცხადებს, რომ მისთვის იდეალური იქნებოდა ისევ მიუნხენის „ბაიერნში", თუნდაც მის სათადარიგო შემადგენლობაში დაბრუნება. როგორც გერმანელი მიმომხილველები ფიქრობენ, ეს ვარიანტი სრულიად არარეალურია არა იმდენად ფეხბურთელის ასაკის, უფრო მისი რთული ხასიათის გამო, რისთვისაც არაერთი ფუნქციონერი წაიკიდა. თავის მრავალწლიან კარიერაში იგი მაინცდამაინც დიდი თავდაჭერილობით და დიპლომატიით როდი გამოირჩეოდა. ერთხელ ერთბაშად ბევრი ჟურნალისტი გადაიმტერა, როცა მარადონას ორეული — 35 წლის აბი აგიკი ჟურნალისტებს წარუდგინა, როგორც ნამდვილი მარადონა და პრეს-კონფერენციაზე ვერავინ მიხვდა რაიმეს. შემდეგ კი... ფრანც ბეკენბაუერმა ერთხელ კიდევაც თქვა, რომ ცუდი არ იქნებოდა ლოთარს (რომელსაც ძალიან აფასებს) დიპლომატიის რამდენიმე გაკვეთილი მიეღო... ჰენრი კისინჯერისაგან. კისინჯერს, რომელიც გერმანული ფეხბურთის თავგამოდებული ტრფიალია, გაუხარდებოდა კიდეც განთქმულ ოსტატთან თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა. ერთადერთი, რასაც დიპლომატიის სფეროში ლოთარ მათეუსმა მიაღწია, ისაა, რომ მან ორივე გაყრილ ცოლთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა. მისი პირველი ცოლის ახლანდელმა მეგობარმა კლაუს მატიასმა სპეციალური მუსიკაც კი დაწერა, რომელიც ფეხბურთელის გამოსათხოვარ მატჩში შეასრულეს.

დიახ, მათეუსი თამაშს აგრძელებს. როდემდე და როგორი წარმატებით, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**გივი თორელი**

# დარკო კოვაჩევიჩი: 9 მატჩი ზედიზედ ძალიან ძნელია



დარკო კოვაჩევიჩი (№9)

**როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მნიშვნელოვანი მატჩი რუსეთისა და იუგოსლავიის ნაკრებებს შორის გადაიდო. იუგოსლავიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" ცნობილ თავდამსხმელ კოვაჩევიჩს ჰკითხეს:**

● ***რუსეთის ნაკრები მართლა იუგოსლავიელთა მთავარი მეტოქეა?***

— დიახ. კარგად ვიცნობ რუს ფეხბურთელებს, რომლებიც ესპანეთის ლიგაში თამაშობენ: კარპინს, მოსტოვოის, ბესჩასტნიხს, ონოპკოს. ისინი ჩინებული ოსტატები არიან. რაც შეეხება მწვრთნელ რომანცევს, იგი ევროპის საუკეთესო სპეციალისტების რიცხვს მიეკუთვნება. ისე კი, უცნაურია, რომ უკანასკნელ ხანებში რუსეთის ნაკრებს დიდი მიღწევები არა აქვს, თუმცა ახლა ვითარება უნდა შეიცვალოს. ჩვენ და რუსებმა ჯგუფში პირველი და მეორე ადგილები უნდა დავიკავოთ. ვფიქრობ, პირველები ჩვენ ვიქნებით, რუსები კი საგზურს დამატებითი მატჩების მოგების შემდეგ დაეუფლებიან.

● ***დანარჩენი ნაკრებებიდან ვინ იქნება სახიფათო?***

— თქვენ გაგიკვირდებათ — ფარერის კუნძულები. ჩემი აზრით, არც ერთი ნაკრები არ შეიძლება დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ამ გუნდს მის მინდორზე დაამარცხებს. ამის მაგალითია თუნდაც სლოვენელების ფრე ჩვენი ტურნირის პირველივე შეხვედრაში.

● ***არ გეშინიათ, რომ ნაკრების შემდეგი მატჩისათვის შეიძლება იქ ადგილი დაკარგოთ, რადგან „იუვენტუსის" შემადგენლობაში არც ისე ხშირად თამაშობთ?***

— „იუვენტუსი" ევროპის უძლიერესი კლუბია და აქ ძირითად შემადგენლობაში სტაბილური თამაში ძალიან ძნელია. ამასთან, ისიც ვთქვათ, რომ ჩვენს მწვრთნელ კარლო ანჩელოტის უყვარს ორი თავდამსხმელით თამაში, და, ბუნებრივია, უპირატესობას იტალიელებს დელ პიეროსა და ინძაგის ანიჭებს. იმედი მაქვს, რომ გაზაფხულიდან გაცილებით უფრო ხშირად ვითამაშებ. შარშანაც ასე იყო, როცა 16 მატჩში 21 გოლი გავიტანე, აქედან 9 კი, უშუალოდ ჩემპიონატში.

● ***ხომ არ ფიქრობთ რომელიმე ძლიერ ევროპულ კლუბში გადასვლაზე?***

— არა. მინდა „იუვენტუსში" დავრჩე, თუმცა წინადადებებს ძირითადად ესპანური კლუბებისაგან ვიღებ. ამ ქვეყანაში კარგად მიცნობენ „რეალ სოსიედადში" გამოსვლებით. ამ რამდენიმე ხნის წინათ მადრიდის „რეალმა" „იუვენტუსს" წინადადება მისცა რობერტო კარლოსში გავეცვალე. ამაზე უარი განვაცხადე, რადგან მინდა „იუვენტუსში" დავრჩე.

● ***ვინ მიგაჩნიათ იტალიის ჩემპიონატის ფავორიტად?***

— „იუვენტუსის" გარდა რეალური შესაძლებლობები აქვთ „ლაციოს", „მილანსა" და „რომას". აი „ინტერისა" და „ფიორენტინას პოტენციალისა, გულახდილად რომ გითხრათ, არა მჯერა.

● ***ისევ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირს რომ დავუბრუნდეთ?***

— რუსეთ-იუგოსლავიის მატჩის გადადება ჩვენთვის ძალზე არახელსაყრელი გადაწყვეტილება იყო. 2001 წელს 9 მატჩი ზედიზედ უნდა ვითამაშოთ, ერთმანეთის მიყოლებით, ეს კი მეტად ძნელი გახლავთ.

# სპორტული პლანეტა

## კრივი

### ტიოზომ მიუღიარ, მაგრამ... არ მიუღიარო

**გუშინწინ საფრანგეთის პატარა ქალაქ ვილერ-ბანში, პარიზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით რომ მდებარეობს, დიდი ვნებათაღელვა იყო: WBA-ს ვერსიით ნახევარ მძიმე წონის მოკრივეები — ამერიკელი ვირჯილ ჰილი და მასპინძელი ფაბრის ტიოზო ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ეცილებოდნენ.**

ალსანიშნავია, რომ ამერიკელი მოჩხუბარი ერთი წელია რინგზე არავის უნახავს, ტიოზო კი, პირიქით, ორთაბრძოლებს არ გაურბოდა და საკმაოდ იოლად უსწორდებოდა მეტოქეებს. საღამოს 10 საათზე მთელი საფრანგეთი ტელევიზორებს მიაწყდა იმ იმედით, რომ მათი თანამემამულე ქვეყანას კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას მოუტანდა. მაგრამ ფრანგებს გაწბილება ელოდათ — მათმა ჯილამ პირველივე რაუნდში უსახელოდ წააგო: ჰილმა ორნახევარ წუთში ზედიზედ სამჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში, ეს კი WBA-ს კანონებით ტექნიკურ ნოკაუტად ითვლება.

ჩხუბი ახალი დამთავრებული იყო, ტიოზოს, დანა კბილს არ უხსნიდა, ჟურნალისტებს განუცხადა: „31 წლისა ვარ და ეტყობა დადგა დრო პროფესიულ სპორტს ჩამოვშორდე". თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ მოკრივემ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება: „მარცხით ძალიან აღელვებული ვიყავი და, შესაძლოა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღე. ვეცდები სათანადო სპორტული ფორმა აღვიდგინო და მატჩ-რევანში გავმართო".



ჰილმა მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა...

## ფიგურული ციგურაობა




იაპონიის ჩემპიონები საცეკვაო დუეტებს შორის — სუძუკი და ფარხუტდინოვი

სწორედაც ასეა. ამომავალი მზის ქვეყანაში, სადაც გუშინწინ დასრულდა ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, მსოფლიოს ყველაზე ძლიერთა ფორუმისათვის რომ უნდა შეერჩია ეროვნული ნაკრები, წყვილების ასპარეზობაში მონაწილეობდა... ერთი დუეტი — მ. კიკო და ტაკეო ოგასავარა. ფიგურისტებმა შეასრულეს მხოლოდ ერთი, ნებისმიერი პროგრამა და მიუხედავად იმისა, დაბალი შეფასებები მიიღეს, ცხადია, ჩემპიონებიც ისინი გახდნენ.

მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა სიმრავლით მოცეკვავეთა ასპარეზობაც. ოთხ დუეტში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ნაკაკო სუძუკი და რინატ ფარხუტდინოვი, რომელთა ფოტოსაც გთავაზობთ.



ანტონი დიუპუი

## მძლეოსნობა

### მძლეოსნების ჯიბე გასქელდება

2001 წლის სეზონში მსოფლიოს ჩემპიონატებსა და „გრან-პრის" ეტაპებზე იააფი შესამჩნევად გაზრდის საპრიზო ფონდებს — ოფიციალურად განაცხადა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სპიკერმა ჯორჯო რაინერიმ. ამიერიდან ფულად ჯილდოს პრიზიორებთან ერთად მიიღებს ამ [illegible]ნირების ყველა ფინალისტი.

2000 წელს იააფმა 515 ათლეტს (306 [illegible] 209 [illegible] „გრან-პრისა" და Golden League-ს ფარგლებში 9 223 000 $ გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ფედერა[illegible]მ პრიზიორთა ფულით წახალისება 1997 წლიდან დაიწყო პარიზსა და ათენში ზამთრისა და ზაფხულის მსოფლიო ჩემპიონატებზე. მანამდე მარტო გამარჯვებულებს ეძლეოდათ „მერსედესის" გასაღები.

2001 წელს ედმონტონში (კანადა) მსოფლიო პირველობის ლაურეატები პირად პირველობაში მიიღებენ 60 და 4 ათას დოლარს. ესტაფეტებში გამარჯვებულები — 80 000-დან 4000-მდე. ლისაბონში ზამთრის პირველობაზე ნაკლები იქნება: პირადი პირველობის და ესტაფეტების ფინალისტები მიიღებენ 40-დან 4 ათას დოლარამდე. ამგვარად, ედმონტონ-2001-ის საერთო საპრიზო ფონდს შეადგენს 7 მილიონი დოლარი, ათენი-97-ის ფონდს 5 მილიონი შეადგენდა.

### სურს ბილიკი გამარჯვებულმა დატოვოს

ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა 400 მეტრზე რბენაში ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა გერმანულ ტელეარხ ARD-ს განუცხადა: სავსებით შესაძლებელია მსოფლიო ჩემპიონატ-2001-ზე კანადის ქ. ედმონტში სტარტზე არ გამოვიდეს. 200 და 400 მეტრებზე რბენაში უმაღლესი ტიტულების მფლობელს გადაწყვეტილი აქვს მერმისს თავის კარიერას წერტილი დაუსვას. „ედმონტონში ალბათ აღარ გამოვალ, — თქვა ჯონსონმა. — კარგად უნდა განვსაჯო როგორი იქნება ბოლო თვეები ჩემთვის სარბენ ბილიკზე. ზუსტად ვიცი ის, რომ მინდა გამარჯვებული წავიდე".

## ნბა

### „ლეიკერსმა" კრიზისი გადალახა

გუშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ხუთი მატჩი შედგა. შარშანდელმა ჩემპიონმა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა", ეტყობა კრიზისი გადალახა და ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „დეტროიტი" გაანადგურა — 112:88. გამარჯვებულთაგან 26-26 ქულა მოაგროვეს შაკილ ო,ნილმა და კობი ბრაიანტმა. ფილ ჯექსონი, „ლეიკერსის" დამრიგებელი, ოპტიმისტურად უყურებს მომავალს: „ახლა ჩვენი საქმეები კარგად წავა, ვინაიდან მთელი ძალით ათამაშდა გუნდის ლიდერი შაკილი".



შეტევაზეა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდი კობი ბრაიანტი

კერკეტი კაკალი გამოდგა „საკრამენტო კინგზი": მიუხედავად იმისა, პირველი მეოთხედის შემდეგ 23 ქულას აგებდა „მაიამი ჰიტთან", ნებისყოფა ეყო გარდატეხა შეეტანა თამაშში და გაიმარჯვა — 101:97. რა მოუვიდა „მაიამის"? მიმომხილველები წარუმატებლობის მიზეზს, პირველ რიგში ხედავენ მისი ლიდერის ტიმ ჰარდუეის პასიურ თამაშში. მატჩის პირველ ნახევარში მან 22 ქულა დააგროვა, მეორეში კი აშკარად ვერ ივარგა და რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. შედეგად ჰარდუეიმ თავის მონაგარს მხოლოდ 3 ქულა შემატა.

„ტორონტო რეპტორსმა" შინ მარცხი იწვნია „ფინიქსისაგან", და ეს მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა რიგებში შედეგიანად ითამაშა ვინს კარტერმა, რომლის ანგარიშზე 35 ქულაა. სტუმართა შორის შეუდარებელი იყო გამთამაშებელი ჯეისონ კიდი — იგი არამარტო კარგად ასრულებდა თავის უშუალო მოვალეობას, 24 ქულაც შემატა გუნდს.

დრამატულად წარიმართა „ბოსტონისა" და „დენვერის" შეხვედრა. თითქმის მთელი მატჩი წინ იყვნენ სტუმრები და მხოლოდ ბოლო წამებში შეძლეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება. ოვერტაიმში მატჩის ბედი გადაწყვიტა ბოსტონელი პირსის ორქულიანმა ზუსტმა ტყორცნამ — 104:102. მატჩის გმირმა იმ საღამოს თავისიანებს 28 ქულა შემატა.

**ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — დეტროიტი 112:88**
ო'ნილი, ბრაიანტი — 26-26 ქულა, პენბერტი 12, სტეკჰაუსი — 30.

**საკრამენტო — მაიამი 101:97**
უებერი — 19, უილიამსი — 15, ბერი — 14, კრისტი — 13, თურქოღლუ — 11, ჰარდუეი — 25, გრანტი — 19, ჯონსი — 18, მეისონი — 15.

**ტორონტო — ფინიქსი 87:95**
კარტერი — 35, უილიამსი — 13, პეტერსონი — 11, კიდი — 24, რობინსონი — 22, როჯერსი — 19, დელკი — 12, მერიონი — 11.

**ბოსტონი — დენვერი 104:102**
პირსი — 28, უოლკერი — 26, ანდერსონი — 13, ბეტი — 12, სტიტი — 12, მაკდაისი — 37 ლენარდი — 21.

**ნიუ-ჯერსი — დალასი 73:99**
მარტინი — 18, დუგლასი — 13, ჯექსონი — 12, ჰარისი — 11, ნოვიცკი — 31, ფინლი — 21, ეისლი — 15.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 16 | 4 | 80,0 |
| ნიუ-იორკი | 14 | 8 | 63,6 |
| მაიამი | 10 | 11 | 47,6 |
| ორლანდო | 9 | 11 | 45,0 |
| ბოსტონი | 9 | 11 | 45,0 |
| ნიუ-ჯერსი | 7 | 14 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 4 | 17 | 19,0 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| კლივლენდი | 12 | 7 | 63,2 |
| შარლოტი | 13 | 9 | 59,1 |
| ტორონტო | 10 | 10 | 50,0 |
| ინდიანა | 10 | 10 | 50,0 |
| მილუოკი | 9 | 11 | 45,0 |
| დეტროიტი | 9 | 12 | 42,9 |
| ატლანტა | 4 | 16 | 20,0 |
| ჩიკაგო | 2 | 18 | 10,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

**შუადასავლეთის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 16 | 4 | 80,0 |
| დალასი | 14 | 8 | 63,6 |
| სან-ანტონიო | 12 | 7 | 62,2 |
| მინესოტა | 12 | 8 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 11 | 9 | 55,0 |
| დენვერი | 10 | 12 | 45,5 |
| ვანკუვერი | 7 | 13 | 35,0 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 14 | 4 | 77,8 |
| ფინიკსი | 13 | 6 | 68,4 |
| ლეიკერსი | 15 | 7 | 68,2 |
| პორტლენდი | 14 | 8 | 63,6 |
| სიეტლი | 10 | 12 | 45,5 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 15 | 28,6 |
| კლიპერსი | 6 | 16 | 27,3 |

## ჩოგბურთი

### დიუპუიმ „ჩელენჯერი" მოიგო

ფრანგმა ჩოგბურთელმა ანტონი დიუპუიმ მოიგო „Copa Ericsson"-ის სერიის წარმომადგენლობითი ტურნირი („ჩელენჯერი"), რომელიც კოსტა-რიკაში გაიმართა. ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი იყო.

ნახევარფინალში დიუპუიმ ორ სეტში მოუგო ამერიკელ ვინსენტ სპეიდს - 7:6 (7:5), 6:2, ხოლო ფინალში სამ პარტიაში დაამარცხა ბრაზილიელი ალეშანდრე სიმონი - 7:6 (7:5), 4:6, 6:3.

ალსანიშნავია, რომ „Copa Ericsson"-ის მთავარი ტურნირი მომავალ კვირას ჩატარდება რიო-დე ჟანეიროში. მასში ითამაშებენ ის ჩოგბურთელები, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს სერიის ყველა ტურნირში.

## მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

# რაც უფრო ცოტა მონაწილე რჩება...

... ასპარეზობა უფრო საინტერესო ხდება, რაც ნოკაუტ სისტემისათვის დამახასიათებელი თვისება გახლავთ. ეს, რა თქმა უნდა, ახლა ნიუ-დელიში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატებსაც ეხება.

ვაჟთა მეოთხე რაუნდის, ანუ მერვედფინალის შეხვედრები უმეტეს შემთხვევაში მეტად მძაფრად მიმდინარეობდა. მართალია პოლონელ ბარტოლომეი მაჩეიას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია ფავორიტ ვიშვანათან ანანდისათვის (ინდოეთი), პირველი პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ მეორე წააგო. იგივე მოხდა ბრაზილიელ რაფაელ ლეიტაოს მატჩში მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანთან (რუსეთი). ბრაზილიელმა პირველი პარტია ყაიმით დაასრულა, მეორე კი წააგო. ამის შემდეგ გაირკვა, რომ ანანდი და ხალიფმანი სწორედ მეოთხედფინალში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ისე კი, რომ გვკითხონ, მათი ფინალური მატჩი უფრო საინტერესო იქნებოდა!

მაიკლ ადამსმა (ინგლისი), რომელიც ასევე ითვლება ერთ-ერთ ფავორიტად, საკმაოდ ძნელი ბრძოლის შემდეგ გათამაშებიდან გამოთიშა პეტრე სვიდლერი (რუსეთი). ორი ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა. იგივე შედეგი მოიტანა მესამემაც, მეოთხე კი ინგლისელმა მოიგო. მთელი 6 პარტია გათამაშდა დრეევ (რუსეთი) — ტოპალოვის (ბულგარეთი) მატჩში. ძირითადი პარტიების ანგარიში იყო 1:1. იგივე შედეგი მოიტანა ორმა სწრაფმა პარტიამ, მაგრამ მეხუთე და მეექვსე შეხვედრებში ბულგარელმა გაიმარჯვა. ამრიგად, მეოთხედფინალური წყვილია ადამსი — ტოპალოვი.

რა თქმა უნდა, დიდი მოულოდნელობა იყო გათამაშებიდან მსოფლიოში მეოთხე რეიტინგის მქონე ალექსანდრ მოროზევიჩის (რუსეთი) გამოთიშვა. ამასთან, მოროზევიჩს მოუგო და თანაც ძირითად დროში არა რომელიმე განთქმულმა დიდოსტატმა, არამედ ვლადისლავ ტკაჩევმა, რომელიც უფრო ბლიცის ოსტატობითაა ცნობილი. ტკაჩევი, ყოფილი ალმაათელი, ახლა საფრანგეთში ცხოვრობს. პირველი პარტია ყაიმით დაასრულა, მეორეში კი გაიმარჯვა. რამდენადმე მოულოდნელი იყო მრავალნაცად იაან ელვესტის (ესტონეთი) მარცხი ახალგაზრდა რუს ალექსანდრ გრიშჩუკთან. ორი ძირითადი პარტიის ყაიმით დასრულების შემდეგ გრიშჩუკმა მოიგო მესამე, მეოთხე კი ყაიმით დამთავრდა. მეოთხედფინალურ მატჩს ტკაჩევსა და გრიშჩუკს შორის, ალბათ, არავინ ელოდა.

ალექსეი შიროვმა (ესპანეთი) ძალიან ძნელი ბრძოლის შემდეგ გათამაშებიდან გამოთიშა ბორის გელფანდი (ისრაელი) — ორი ყაიმი, მესამე შიროვმა მოიგო და მეოთხე ყაიმით დაასრულა. თითქმის იგივე მოხდა ევგენი ბარეევისა (რუსეთი) და ბორის გულკოს (აშშ) მატჩში: სამი ყაიმის შემდეგ მეოთხე პარტიაში ბარეევმა გაიმარჯვა, ამრიგად, გამოვლინდა წყვილი: შიროვი — ბარეევი.

როცა ვაჟები მერვედფინალურ მატჩებს ატარებდნენ, ქალებმა უკვე მეოთხედფინალები გაითამაშეს.

ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიო ჩემპიონ სიე ჟუნის (ჩინეთი) შეხვედრა ევროპის ჩემპიონ ნატალია ჟუკოვასთან (უკრაინა), ანგარიშით 1,5:0,5 გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა. ასეთივე შედეგით ეკატერინა კოვალევსკაიამ (რუსეთი) სძლია ჩინელ პენგს, რომელიც ახლა ჰოლანდიის სახელით გამოდის. ამრიგად, გამოვლინდა ნახევარფინალური წყვილი: სიე ჟუნი — კოვალევსკაია. კორინა პეპტანმა (რუმინეთი), რომელმაც ჩვენდა სამწუხაროდ, გათამაშება მაია ჩიბურდანიძესაც დაატოვებინა და ნანა იოსელიანსაც, ამჯერად ორი ყაიმის შემდეგ ორივე დამატებითი პარტია წააგო ჩინელ ცინ კანინთან. ალისა მარიჩმა (იუგოსლავია) ასევე ორი ყაიმის შემდეგ ორჯერ დაამარცხა ელმირა სკრიპჩენკო — ლოტიე (მოლდავეთი) და ახლა ცინ კანინს შეხვდება.

## ბოლო ცნობები დელიდან

ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა რუსეთელმა ალექსანდრ გრიშჩუკმა. 17 წლის მოჭადრაკემ საერთო ანგარიშით — 1,5:0,5 მოუგო ვლადისლავ ტკაჩოვს (საფრანგეთი). ნახევარფინალში გრიშჩუკის მეტოქე ალექსეი შიროვი (ესპანეთი) იქნება, რომელმაც ტურნირს გამოთიშა ევგენი ბარეევი (რუსეთი).

ფიდეს მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა ალექსანდრ ხალიფმანმა (რუსეთი) ინდოელ ვიშვანათან ანანდთან წააგო დამატებითი პარტია. ახლა ფიდეს ახალი რჩეული ეყოლება.



*ერთმანეთს ეთამაშებიან ხალიფმანი და ანანდი.*

**ვაჟებისგან განსხვავებით ქალებში უკვე გაირკვა ფინალური მატჩის მონაწილეები: მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს ერთმანეთს ჩინელები სე ძიუნი და ცინ კანინი შეეცილებიან.**



### კროსვორდი №97

**თარაზულად:** 2. სპორტული კლუბი პოლონეთში, 4. ცნობილი მექსიკელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 5. ლაინსმენის ატრიბუტი, 7. შეფასება ძიუდოში, 8. ბელორუსიის საკალათბურთო კლუბი, 9. შეფასება ძიუდოში, 10. სართიჭალის საფეხბურთო კლუბი, 12. წარსულში ტაშკენტის „პახტაკორის" ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 13. „დინამოში" ბოსკამპის ჩამოყვანილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 14. წარსულში ფორმულა-1-ის სახელგანთქმული პილოტი, 15. ახლო წარსულში ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, 16. ... კრამლინგი.

**შვეულად:** 1. ესპანეთის საკალათბურთო კლუბი, 2. ლიბერიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 3. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 6. ჰოლანდიელი საფეხბურთო მწვრთნელი ... ბეენჰაკერი, 11. ცნობილი იამაიკელი მორბენალი ქალი, 13. თბილისის საფეხბურთო კლუბი.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

---

**ლოტო 6-42** 14 34 37 38 39 42

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 2182.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 1250.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 6 x | 26.00 ლარი | |
| 3 რიცხვი | 94 x | 2.90 ლარი | |

**სუპერ 7** 2 2 9 6 3 8 5

| | | | |
|---|---|---|---|
| 2296385 --- 50,000 ლარი | | 385 --- 50 ლარი | |
| 296385 --- 15,000 ლარი | | 85 --- 3 ლარი | |
| 96385 --- 5,000 ლარი | | 5 --- 0.50 ლარი | |
| 6385 --- 500 ლარი | | | |

**ტოტო ფეხბურთი** X1X 12X 1X1 1XX

**12 მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 9326.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 1 x | 3697.80 ლარი | |
| 10 შედეგი | 7 x | 160.90 ლარი | |

49-ე ტირაჟის პროგრამა (16-17. 12. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | მანჩესტერ იუნ. – ლივერპული | 60-20-20 |
| 2. | ინგ. | მიდლსბრო – ჩელსი | 20-40-40 |
| 3. | ინგ. | ევერტონი – ვესტ ჰემი | 30-40-30 |
| 4. | იტ. | უდინეზე – ფიორენტინა | 60-20-20 |
| 5. | იტ. | ლეჩე – იუვენტუსი | 20-30-50 |
| 6. | იტ. | ვერონა – მილანი | 20-30-50 |
| 7. | გერ. | ჰერტა – ბაიერნი | 40-30-30 |
| 8. | გერ. | კიოლნი – შალკე | 30-40-30 |
| 9. | გერ. | ბოხუმი – კაიზერი | 30-30-40 |
| 10. | ესპ. | რაიო ვალეკანო – ბარსელონა | 40-40-20 |
| 11. | ესპ. | ალავესი – დეპორტივო | 30-30-40 |
| 12. | ესპ. | ოვიედო – რასინგი | 60-20-20 |

**ტოტო ფეხბურთი** X11 111 111 11

**11 მატჩი**

| | | |
|---|---|---|
| 11 შედეგი | 25 x | 18.30 ლარი |
| 10 შედეგი | 137 x | 1.20 ლარი |
| 9 შედეგი | 210 x | 0.80 ლარი |

49-ე ტირაჟის პროგრამა (16-17. 12. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | ჰერტა – ბაიერნი | 30-30-40 |
| 2. | გერ. I | კიოლნი – შალკე | 50-30-20 |
| 3. | გერ. I | ბოხუმი – კაიზერსლაუტ. | 50-30-20 |
| 4. | გერ. I | ვოლფსბურგი – ლევერკუზენი | 40-30-30 |
| 5. | გერ. I | შტუტგარტი – ფრაიბურგი | 40-30-30 |
| 6. | გერ. I | ჰანზა – დორტმუნდი | 50-40-10 |
| 7. | გერ. I | მიუნხენ 1860 – ჰამბურგი | 40-30-30 |
| 8. | გერ. I | კოტბუსი – ვერდერი | 50-30-20 |
| 9. | გერ. II | ნიურნბერგი – ჰანოვერი | 40-30-30 |
| 10. | გერ. II | ზანქტ პაული – ალენი | 50-30-20 |
| 11. | გერ. II | ზაარბრიუკენი – მიონხენგლადბ. | 40-30-30 |

**სპორტული ლოტო № 12 ტირაჟის შედეგები 10.12.2000**

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთამაშებული რიცხვები | 4 | 8 | 3 | 9 | 14 | 1 | 10 | 13 | 22 | 2 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოთამაშებული რიცხვები | 16 | 20 | 12 | 18 | 24 | 11 | 21 | 15 | 19 | 5 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

გაუთამაშებელი რიცხვები: 6 7 17 23

მოუგებელი ბილეთებიდან გამოვლენილი გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ტირაჟის ტელე-თამაშში:

თორნიკე კანდელაკი (თბილისი) ნანი იორამაშვილი (თბილისი)

საბა მელაძე (თბილისი)

„ლელოში" რეკლამა-განცხადებები, მილოცვები, სამძიმრის განცხადება, ნეკროლოგი და ა.შ. მიიღება და გამოქვეყნდება მხოლოდ წინასწარი გადახდით გარდა იმ ორგანიზაციებისა, რომელთანაც „ლელო", ტრადიციულად გადარიცხვით აწარმოებს ანგარიშსწორებას.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე 12 - 14 დეკემბერი

**12 დეკემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.20), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** ფიფას გალა-წარმოდგენა – 2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელი (13.15), საფრანგეთის (14.45), გერმანიის (18.00, 23.10) ჰოლანდიის (19.40), ინგლისის (21.20), ესპანეთის (22.20), გერმანიის (23.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საჩემპიონო სერია, გრან-პრი „სკეიტ ამერიკა" (0.20), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.25), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები (22.55). ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (10.00, 22.00), ინგლისის ჩემპიონატი (12.00), კალათბურთი. ნბა „ატლანტა ჰოუკსი" – „საკრამენტო კინგო", პირდაპირი რეპორტაჟი (05.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (15.00), ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (17.30).

**13 დეკემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 23.10), ესპანეთის (15.00, 1.20), ინგლისის (15.50), ბრაზილიის (19.50), იტალიის (19.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები (11.40, 18.55), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.15, 20.25), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ვაჟები (22.55). ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (08.00), ინგლისის ჩემპიონატი (12.00, 22.00), იტალიის ჩემპიონატი, მიმოხილვა (20.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (15.00), ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (17.30).

**14 დეკემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.50), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), იტალიის (15.35, 0.55), ბრაზილიის (16.25, 19.20), ინგლისის (0.00), იტალიის (0.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი, მსოფლიო ჩემპიონატი (14.40, 23.20), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები (15.10), კალათბურთი. ევროლიგა (23.55), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (08.30), ინგლისის ჩემპიონატი: „კოვენტრი" – ლეიკესტრი" (12.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.30), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.00). ***EUROSPORT.*** ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (11.30), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი სპრინტში (18.45), ცხენოსნობა (1.00).

### №96 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. პაიკი, 4. კიმანი, 6. „ნუმანსია", 8. იორკი, 9. „ნანტი", 10. „ბრაგა", 13. სირია, 15. „სოშო", 16. ბუკია, 17. იერო, 18. „იორკი". **შვეულად:** 1. პეტი, 2. „ივერია", 3. „იანინა", 4. კუმანი, 5. „ოსასუნა", 7. „ნაიკი", 10. ბესტი, 11. „გლობო", 12. აპკ, 13. სქაი, 14. ინსი.

---

## ივანე გამხიტაშვილის ხსოვნას



ერთი წელიწადი გასრულდა მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა სამბოში მსოფლიოში სახელმოხვეჭილი და უბადლო ოსტატი, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მრავალგზის გამორჩეული ფალავანი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე ივანე გამხიტაშვილი. მისი უდიდესი დამსახურება მსოფლიოს სამბოს განვითარებაში ჯეროვნად შეაფასა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ — ქართველი მოჭიდავე სიკვდილის შემდეგ ვერცხლის მედლით დააჯილდოვა. მსოფლიო ფედერაციამ მხარი დაუჭირა აგრეთვე საქართველოს ფედერაციის თაოსნობას და სამბოს საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარში ოფიციალურად შეიტანა ივანე გამხიტაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი.

საქართველოს სამბოს სამყარომ თავის მხრივაც მიაგო ღირსეული პატივი უნიჭიერესი სპორტსმენის ნათელ ხსოვნას და საუკუნის №1 სამბისტად დაასახელა.

გავა ათწლეულები და ასწლეულები, შთამომავლობა არასდროს მისცემს დავიწყებას ჭეშმარიტი ქართველი რაინდის სახელს, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ და მსოფლიო სამბოს სამყაროში.

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფონდის გაზეთის „ტოტოლოტოს" რედაქტორს რევაზ შენგელიას მამის გარდაცვალების გამო.

## ოლიმპიური ვერცხლი ხუმრობა როდია

**ჩოგბურთში პროფესიონალებსა და მოყვარულთა შორის რაიმე პრინციპული განსხვავება არ არსებობს, მაგრამ, როცა 18 წლის ელენა დემენტიევამ სიდნეიში ოლიმპიადაზე, ვერცხლის მედალი მოიპოვა, მისი პრესტიჟი ჩოგბურთის სამყაროში მკვეთრად გაიზარდა.**

დემენტიევამ რამდენიმე კითხვაზე უპასუხა.

● ***როგორ შთაბეჭდილებას სტოვებენ უშუალო ურთიერთობისას ჩოგბურთის ვარსკვლავები — ჰინგისი, დევენპორტი, დები უილიამსები?***

— მარტინა ჰინგისი, ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს როგორც კორტზე, ისე ცხოვრებაში. იგივე ითქმის ლინდსეი დევენპორტზე. რაც შეეხება ვენუს და სერენა უილიამსებს, მათ შესახებ, ცოტა არ იყოს, მიჭირს ლაპარაკი. მათ უფრო ერთმანეთთან აქვთ კონტაქტი. აი კორტზე კი დევენპორტი და დები უილიამსები პირდაპირ მრისხანენი არიან, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ. მათ წინააღმდეგ რომ თამაშობ, თავიდანვე გრძნობ, რომ საჭიროა დაცვაზე გადასვლა. არც ჰინგისთან არის, ცხადია, ბრძოლა იოლი, მაგრამ იგი მტკიცე მკაცრი დაცვითი სტილით თამაშობს, ნაკლებად გიტევს და, ამდენად, თავს ისე დათრგუნულად არა გრძნობ.

● ***ფრანგული სპეციალური საჩოგბურთო სკოლა დაამთავრეთ. როგორ გრძნობთ თავს ჩოგბურთელთა შორის, სადაც ინგლისური ენაა გაბატონებული?***

— ფრანგული თანდათან მავიწყდება კიდეც, ინგლისურს კი მასწავლებელთან ვსწავლობდი. ახლა უკეთესად ვლაპარაკობ.

● ***სპორტული დიდება თქვენზე როგორ მოქმედებს?***

— მძიმედ მოქმედებს. იგი გადუნებს, ხელს გიშლის შემდგომ მუშაობაში. ჩვენთან ტურნირები ერთმანეთს მისდევს, აქ „შენელების" დრო არ არის.

### საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მc5! – 2. მe4X. 1. ...d5 2. მe6X. 1. ...ეe3 2. კf4X. 1. ...კd3 2. მ:f3X. 1. ...f5 2. კd8X. 1. ...d6 2. მe6X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.